დამტკიცებულია:	შპს კოლეჯი “ცხუმ-ეგრისის” დირექტორის 2020 წლის 16 ივლისის ბრძანება N 01-11 ბრძანებით.
შეტანილია ცვლილება:	შპს კოლეჯი “ცხუმ-ეგრისის” დირექტორის 2021 წლის 23 თებერვლის N 01-04 ბრძანებით.
	შპს კოლეჯი “ცხუმ-ეგრისის” დირექტორის 2021 წლის 9 ივლისის N 01-17 ბრძანებით.
	შპს კოლეჯი “ცხუმ-ეგრისის” დირექტორის 2022 წლის 19 დეკემბრის N 01-26 ბრძანებით.
	შპს კოლეჯი “ცხუმ-ეგრისის” დირექტორის 2023 წლის 7 ივნისის N 01-12 ბრძანებით.

კოლეჯი ცხუმ-ეგრისის

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

ზუგდიდი 2023

ზოგადი დებულებები

1. **მუხლი - ძირითადი დებულებები**

1.1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (შემდგომში **„წესი“**, **„დოკუმენტი“**) განსაზღვრავს შპს კოლეჯი ცხუმ-ეგრისის (შემდგომში **„კოლეჯი“**, **„დაწესებულება“**) პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, სტატუსის აღდგენის, მობილობის, მიღებული ფორმალური განათლების აღიარების წესებსა და პროცედურებს, სასწავლო პროცესისი დაგეგმვისა და ადმინისტრირების, შუალედური შეფასების და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების, პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების, პროფესიული დიპლომისა და მისი დანართის გაცემის ,სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების და სსსმ პირების მხარდაჭერას, ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმებს.პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესის მართვის სხვა საკითხებს, მათ შორის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შერჩევას /შეფასებას, დამატებასა და ცვლილებებას.

1.2. საკითხი, რომელიც არ არის მოწესრიგებული ამ დებულებით, რეგულირდება პროფესიული განათლების სფეროში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს განათლებისა და მცნიერების მინისტრის ბრძანებებით, კოლეჯის მარეგულირებელი წესებით/დებულებებით და კოლეჯის დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით.

თავი 1. პროფესიული პროგრამა

2. **მუხლი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა**

2.1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/საგანმანათლებლო პროგრამის (შემდეგში ,,**პროგრამა**“) დაგეგმვის, შემუშავების პროცედურებს;

2.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამება/საგანმანათლებლო პროგრამა არის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავებული დოკუმენტი, რაც გულისხმობს სასწავლო მიზნების, სწავლის შედეგების, მოდულის/მოდულების, შესაბამისი კრედიტების, სწავლების მეთოდების, შეფასების ფორმებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებათა ერთობლიობას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სრულდება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3/მე-4/მე-5 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებითა და დიპლომის გაცემით;

2.3. პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს კოლეჯის მისიას, სტრატეგიულ გეგმას და მისი შემუშავებისა და განხორციელების გადაწყვეტილება შესაძლოა ეფუძნებოდეს როგორც პირველად წყაროებს (უშუალოდ დაწესებულების მიერ ჩატარებული მოკვლევა რეგიონის შრომის ბაზრის საჭიროებების შესახებ,პროფესიულ სტუდენტთა/აპლიკანტთა გამოკითხვის შედეგები ან/და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი, შეხვედრები დამსაქმებლებთან და სხვ.), ასევე მეორად წყაროებს (სხვა ორგანიზაციების/დაწესებულებების მიერ ჩატარებული კვლევების მონაცემები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები და ა.შ.);

2.4. პროგრამის შინაარსი განისაზღვრება შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტის/საგანმანათლებლო სტანდარტის მიხედვით;

2.5. კოლეჯის პროგრამების დაგეგმვა და შემუშავება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესის შესაბამისად;

2.6. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შეცვლის შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლილ ჩარჩო დოკუმენტთან /საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობას;

2.7. პროგრამის შემუშავების საფუძველს წარმოადგენს საგანმანათლებლო სტანდარტი/ჩარჩო დოკუმენტი, თუმცა შესაძლოა არსებობდეს სხვა დამატებითი სამართლებრივი საფუძვლებიც, როგორიცაა 2019 წლის 19 აგვისტოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N 170/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საშუალო პროფესიულ

საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესი და პირობები “, ან სხვა საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე აქტი.

3. მუხლი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შერჩევა/შემუშავება

3.1. პროგრამის შემუშავებას წინ უძღვის დაგეგმვის ეტაპი. კოლეჯი ითვალისწინებს მისიასთან თავსებადობას, შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ეროვნულ და ადგილობრივ პრიორიტეტებს, სხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს (მეორადი კვლევის შედეგებს) და სხვ. წარმოდგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით, ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან და გარე პირობებიდან გამომდინარე, არჩევს მაქსიმალურად თავსებად და ოპტიმალურ პროგრამებს.

3.2. დაინტერესებულმა პირმა (დაინტერესებული პირი შესაძლოა იყოს კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენელი, პროგრამის განმახორციელებელი პირი, პარტნიორი ორგანიზაცია და სხვა) შესაძლებელია წარმოადგინოს კოლეჯის დირექტორის სახელზე არგუმენტირებული მოხსენებითი ბარათი პროგრამ(ებ)ის შემუშავების საჭიროების შესახებ. მოხსენებითი ბარათში უნდა ჩანდეს რის საფუძველზე, ან რა გარემოებებით არის განპირობებული პროგრამის შემუშავების/დანერგვის სურვილი/საჭიროება;

3.3. დირექტორი განიხილავს აღნიშნულს მოხსენებით ბარათის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 20 სამუშაო დღეში და თანხმობის შემთხვევაში გამოსცემს შესაბამის ბრძანებას კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ჯგუფის შექმნის შესახებ(შემდგომში ჯგუფი), სადაც განისაზღვრება: ჯგუფის ხელმძღვანელი, პროგრამ(ებ)ის ხელმძღვანელ(ებ)ი, ჯგუფის შემადგენლობა და სამუშაო ვადები;

3.4. შესაძლოა კოლეჯის დირექტორი თვითონ იყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის/საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის დაგეგმვის/შემუშავების ინიციატორი(ამ შემთხვევაშიც ინიცირება უნდა ეფუძნებოდეს პუნქტ 3.2 ჩამოთვლილ გარემოებებს), ამ შემთხვევაში დირექტორი პირდაპირ გამოცემს ბრძანებას კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ჯგუფის შექმნის შესახებ, სადაც განისაზღვრება: ჯგუფის ხელმძღვანელი, პროგრამ(ებ)ის ხელმძღვანელ(ებ)ი, ჯგუფის შემადგენლობა და სამუშაო ვადები

3.5. პროგრამების შემუშავების ჯგუფში შესაძლოა შედიოდნენ:

- პროგრამის ინიციატორი;
- კოლეჯის დირექტორი;
- სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი;
- საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის ხელმძღვანელ(ებ)ი;
- პროფესიული განათლების მასწავლებლები/პრაქტიკის ინსტრუქტორი;
- პრაქტიკის მენეჯერი(ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- დამსაქმებლები;
- კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციები(პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაციები);
- ბიბლიოთეკარი;
- ბუღალტერი;
- კურსდამთავრებულები;
- პროფესიული ასოციაციის წარმომადგენლები;
- დარგის ექსპერტები;
- და სხვა.

3.6. ჯგუფს ხელმძღვანელობს პროგრამის შემუშავების ინიციატორი, ან პროგრამის ხელმძღვანელი;

3.7. სამუშაოს დაწყებამდე ხარისხის მართვის მენეჯერი ჯგუფს აცნობს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

3.8. ჯგუფი ახორციელებს შემდეგ აქტივობებს:

3.8.1. შეისწავლის შესაბამის საგანმანათლებლო სტანდარტს/ჩარჩო დოკუმენტს;

3.8.2. განსაზღვრავს პროგრამის სახელწოდებას, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს. პროგრამის დასახელება უნდა ასრულებდეს პროგრამის იდენტიფიკატორის ფუნქციასა, თუმცა ის უფრო მარკეტინგული დატვირთვის მატარებელია. ამიტომაც ის შესაძლოა განსხვავდებოდეს

მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელებისაგან, თუმცა არ უნდა იყოს შეცდომაში შემყვანი და არ უჩენდეს დაინტერესებულ პირებს არასწორ მოლოდინს სწავლის შედეგებთან ან სამომავლო დასაქმებასთან დაკავშირებით. პროგრამის სახელწოდება შესაძლოა იყოს როგორც დასაქმების პოზიცია, ასევე საქმიანობის ან სწავლების სფერო;

3.8.3. განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამისთვის არჩევით მოდულ(ებ)ს (იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული საგანმანათლებლო სტანდარტი იძლევა არჩევითი მოდულების ინტეგრირების შესაძლებლობას). შესაძლებელია არჩევითი მოდულის სხვა პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან გადმოტანაც. ამისათვის გათვალისწინებული უნდა იქნას სამი გარემოება:

3.8.3.1. არჩევითი მუდულ(ებ)ი ვალიდური უნდა იყოს მოცემული პროგრამისათვის, ლოგიკურ კავშირში უნდა იყოს მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

3.8.3.2. გათვალისწინებული უნდა იქნას მოდულ(ებ)ზე დაშვების წინაპირობები; დაშვების წინაპირობა არ უნდა განსხვავდებოდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობისაგან.

3.8.3.3. არჩევითი სტატუსის მოდულების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ დასაშვებ ოდენობას.

3.8.4. აკონკრეტებს პროგრამაში გათვალისწინებული უცხოური ენის სწავლებისათვის ენას, თუ ეს დაკონკრეტებული არაა სტანდარტით;

3.8.5. მოიძიებს და წინასწარ მოიძიებს და წინასწარ შეთანხმებას ახორციელებს პროგრამის განმახორციელებელ პირებთან/პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. მას შემდეგ რაც განისაზღვრება/შეირჩევა პროფესიული მასწავლებელი ამა თუ იმ მოდულისათვის, ჯგუფი უფლებამოსილია იგი ჩართოს პროგრამის შემუშავების ჯგუფში;

3.8.6. განახორციელებს საგანმანათლებლო სტანდარტით/ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებული მოდულების ადაპტირებას;

3.9. მოდული წარმოადგენს პროგრამის დანართს და ის მტკიცდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან ერთად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოდული ხორციელდება დამოუკიდებელი კურსის სახით (ასეთ შემთხვევაში, ის ცალკე უნდა დამტკიცდეს);

3.10. მოდულის ან მისი ნაწილის შეცვლის, მოდულის დამატების ან ამოღების შემთხვევაში გამოიცემა ახალი სამართლებრივი აქტი პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

3.11. მოდულები შედგება სამი ნაწილისგან: ზოგადი ინფორმაცია, სტანდარტული ჩანაწერები და დამხმარე ჩანაწერები;

3.12. ზოგადი მოდულები და სავალდებულო პროფესიული მოდულები სავალდებულოა და მათი შეცვლის უფლება კოლეჯს არ გააჩნია;

3.13. **მოდული მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:**

- სახელწოდება;
- მოდულის სტატუსი;
- ზოგადი ინფორმაცია;
- სტანდარტული ჩანაწერები;
- დამხმარე ჩანაწერები;
- საათების განაწილების სქემა;
- სასწავლო რესურსი;
- სსსმ და შშმ სტუდენტების სწავლება;
- მოდულის განმახორციელებელი;
- საჭიროების შემთხვევაში მოდულის განხორციელების ადგილი.

3.14. მოდულის პირველ (ზოგადი ინფორმაცია) და მეორე (სტანდარტული ჩანაწერები) ნაწილებში რაიმე ცვლილების განხორციელება პრაქტიკულად დაუშვებელია. თუ მოდულის სტანდარტულ ჩანაწერებში დაფიქსირდება ხარვეზ(ებ)ი, კოლეჯი უზრუნველყოფს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმირებას;

3.15. საათების განაწილების ცვლილებისას დასაშვებია ცვლილება, თუმცა, არა დამოუკიდებელი საათების სასარგებლოდ (დამოუკიდებელი მუშაობის საათები არ უნდა გაიზარდოს);

3.16. ჯგუფი უფლებამოსილია შეცვალოს თემატიკა მხოლოდ მისაღწევი სწავლის შედეგების კონტექსტში ან შეცვალოს სწავლის მეთოდები საკუთარი შეხედულებისამებრ. სწავლის შედეგების შეფასება შესაძლებელია მოხდეს როგორც ცალ-ცალკე, ისე რამდენიმე სწავლის შედეგისა ერთად (მათ შორის, ერთი ინსტრუმენტით).

3.17. მოდულში შესაძლოა მიეთითოს მოდულის განხორციელების ადგილი კოლეჯის სარგებლობაში არსებული შესაბამისი აუდიტორია/ პრაქტიკის განხორციელების ობიექტი).

3.18. მოდულის სწავლის შედეგის მიღწევა დადასტურებადი უნდა იქნას შესაბამისი მტკიცებულებებით.

3.19. პროგრამაში მითითებული მატერიალური რესურსი (აღჭურვილობა) უნდა იძლეოდეს მოდულის სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

3.20. ჯგუფი კოლეჯის მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერთან ერთად ახორციელებს კოლეჯის მფლობელობაში არსებულ რესურსის შედარებას საგანმანათლებლო სტანდარტში/მოდულში მოცემულ ტექნიკური აღჭურვილობის სარეკომენდაციო ჩამონათვალთან და ადგენს მოსაძიებელი/შესასყიდი რესურსის სიას და დაახლოებით ხარჯთაღრიცხვას, შესასყიდი რესურსის, მასალა ნედლეულის საჭირო რაოდენობისა და ფასის გათვალისწინებით. (შესაძლოა საგანმანათლებლო სტანდარტით/ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული მატერიალური რესურსების სარეკომენდაციო ნუსხიდან რაიმეს ჩანაცვლება სხვა ალტერნატივით საკუთარი შეხედულებების მიხედვით, თუ დასაბუთებულია რესურსების ადექვატურობა სწავლის შედეგებთან მიმართებაში. შესაძლოა დატოვებულ იქნას იგივე რესურსი, რაც მოდულ(ებ)ის საწყის ვერსიაშია მითითებული. გარკვეული მატერიალური რესურსი შესაძლოა ხელმისაწვდომი იყოს პრაქტიკის ობიექტზე, ეს უნდა განისაზღვროს წინასწარ ჯგუფის მიერ და შემდგომში უნდა აისახოს შესაბამის ხელშეკრულებაში; შესაძლოა სარეკომენდაციო ნუსხიდან რომელიმე აღჭურვილობა საერთოდ იქნას ამოღებული. ამ შემთხვევაში ჯგუფმა უნდა დაასაბუთოს, რომ აღნიშნული აღჭურვილობა ან არაა საჭირო სწავლის შედეგის მიღწევისათვის);

3.21. 2.24..ჯგუფი განსაზღვრავს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსს, შესაძლებელია უცვლელად დარჩეს მოდულებში მითითებული ლიტერატურისა და საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი, შესაძლოა ჩანაცვლებული იქნას სხვა რესურსით შესაბამისი დასაბუთებით,სათანადო პირებთან/პროგრამის განმახორციელებლებთან კონსულტირებით.მოდულებში მითითებული ლიტერატურა უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულების ბიბლიოთეკართან ერთად ჯგუფი ადარებს კოლეჯის ფლობაში არსებულ ლიტერატურულ რესურსს და ადგენს მოსაძიებელი/შესაძენი ლიტერატურის სიას.

3.22. ჯგუფი განსაზღვრავს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის (პრაქტიული პროექტი, საწარმოო პრაქტიკა და სხვა) განხორციელების მიდგომებსა და მოიძიებს პრაქტიკის ობიექტებს;

3.23. ერთი და იმავე პროფესიულ სპეციალიზაციაზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, შესაძლებელია განხორციელდეს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომით. რაც გულისხმობს სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებულ 50%-ზე მეტი სწავლის შედეგების რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევას.

3.24. თუ საგანმანათლებო პროგრამა უნდა განხორციელდეს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით, ჯგუფმა უნდა გამიჯნოს, თუ რომელი შედეგ(ებ)ის მიღწევა განხორციელდება კოლეჯში და რომელი პრაქტიკის განმახორციელებელ პარტნიორ ორგანიზაციაში;

3.25. სასწავლო პროცესის მენეჯერთან კონსულტაციით ადგენს სასწავლო გეგმას, რომელიც უნდა იძლეოდეს პროგრამის თანმიმდევრული განხორციელების შესაძლებლობას და დაცული უნდა იქნას მოდულებზე დაშვების წინაპირობები (არსებობის შემთხვევაში);

3.26. იმ შემთხვევაში თუ გარკვეული მოდული, არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა, სასურველია წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის სასწავლო გეგმაში იყოს გათვალისწინებული მინიმუმ ერთკვირიანი ინტერვალი, რათა არ შეიქმნას განმეორებითი შეფასების ჩატარების პრობლემა;

3.27. ჯგუფმა საჭიროების შემთხვევაში უნდა მოიძიოს და წინასწარი შეთანხმება მოახდინოს საწარმოსთან/საწარმოებთან პრაქტიკის კომპონენტის უზრუნველსაყოფად;

3.28. ჯგუფი ასევე ადგენს პროგრამის განხორციელებისათვის/რენტაბელობისთვის პროფესიულ სტუდენტთა მინიმალური ზღვარს და პროგრამის ბიუჯეტს;

3.29. საგანმანათლებლო პროგრამისთვის სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის მიხედვით ადგენს პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების მაქსიმალური კვოტას;

3.30. კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი უფლებამოსილია განიხილოს ჯგუფის მიერ წარმოდგენილი მასალები, ასევე მისცეს რეკომენდაციები პროგრამის სრულყოფისათვის და კანონმდებლობასთან შესაბამისობის მოყვანისათვის.

3.31. კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის დადებითი რეკომენდაციის/დასკვნის საფუძველზე, პროგრამის პროექტის საბოლოო რედაქცია ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ, დადგენილ ვადაში წარედგინება კოლეჯის დირექტორს განსახილველად/დასამტკიცებლად;

3.32. ჩარჩო დოკუმენტის/საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის /საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი დოკუმენტის პროექტი უნდა **მოიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:**

- პროგრამის ძირითადი დოკუმენტი;
- პროგრამის სახელწოდება
- პროგრამის შექმნის საფუძველი;
- პროგრამის მიზნები;
- მისანიჭებელი კვალიფიკაცია;
- დაშვების წინაპირობა/წინაპირობები;
- კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები;
- მისაღწევი სწავლის შედეგები;
- სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება
- პროგრამის მოცულობა;
- პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა;
- რეკომენდაციები სპეციალური საგანამანთლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის;
- ინფორმაცია ქართული ენის კომპეტენციის შესახებ;
- ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ინფორმაცია დანართების შესახებ (დანართების ნუსხა);
- განხორციელების ადგილი, მისამართი, კოლეჯის საკონტაქტო ინფორმაცია;

3.33. საგანმანათლებლო პროგრამას თან უნდა ერთვოდეს:

- სასწავლო გეგმა (ქართულენოვანი სტუდენტებისთვის);
- სასწავლო გეგმა (არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის);
- სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსის ჩამონათვალი;
- ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ;
- პროგრამაზე მისაღები პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- იმ ობიექტების სია, რომლებთანაც მიღწეულია წინასწარი მოლაპარაკება საწარმოო პრაქტიკის გავლის შესახებ (არსებობის შემთხვევაში);
- ადაპტირებული მოდულები (შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტი) უნდა მოიცავდეს შესაბამისი საგანმანათლებლო სტანდარტით/ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებულ ყველა მოდულს;
- არჩევითი მოდულები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ქართული ენის მოდულები.

3.34. დუალური პროგრამების დროს პაკეტს ემატება სწავლის შედეგების განაწილების სქემა და ხელშეკრულებები პარტნიორ კომპანიასთან. ასევე, დუალური მიდგომით პროგრამის განხორციელების სპეციფიკის ამსახველი სასწავლო გეგმა.

3.35. ინტეგრირებულ პროგრამაზე სასწავლო გეგმა გაწერილი უნდა იყოს არანაკლებ 3 წელზე.

3.36. ჯგუფი ხარისხის მართვის მენეჯერს გადასცემს პროგრამის საბოლოო პროექტებს, რომელიც 5 სამუშაო დღის ვადაში დადებითი შეფასების შემთხვევაში წარუდგენს დირექტორს დასამტკიცებლად, კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის დამტკიცების შესახებ;

3.37. თუ მოდული პროგრამის ნაწილი არაა და დაწესებულება გეგმავს მის ცალკე განხორციელებას (როგორც სასერტიფიკატო პროგრამას), ის დამტკიცდება ცალკე დირექტორის ბრძანებით.

4. მუხლი - საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილება. გაუქმება

4.1. პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის (პროგრამის შიდა და გარე შეფასების შედეგები), ჩარჩო დოკუმენტში/ საგანმანათლებლო სტანდარტში, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, დარგში მიმდინარე მნიშვნელოვანი ცვლილებები, შრომის ბაზრის მოთხოვნის (არჩევითი მოდულის შემთხვევაში),საკანონმდებლო ცვლილებები. ან სხვა გარემოებების საფუძველზე.

4.2. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერს, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს და პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელს.

4.3. პროგრამაში/მოდულში ცვლილების შეტანის შემთხვევაში აღნიშნული ცვლილება მტკიცდება დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით;

4.4. პროგრამის ცვლილების(სასწავლო გეგმის, საათების, შედეგების და სხვა) განხორციელებისათვის შესაძლოა საჭირო გახდეს ჯგუფის შექმნა. ამ შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების ასახვა ხორციელდება პროგრამის შემუშვების ეტაპების ანალოგიურად.

4.5. საგანმანათლებლო სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის გაუქმების/შეცვლის შემთხვევაში საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს სწავლა დაასრულებინოს და მიანიჭოს ამ პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია.

4.6. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში შესაძლოა საჭირო გახდეს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შემუშავება (საჭიროების მიხედვით)ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა მუშავდება პროფესიული სტუდენტის მონაწილეობით.

4.7. საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის პერიოდში საგანმანათლებლო პროგრამაში მისანიჭებელი კვალიფიკაციის ცვლილება დასაშვებია, თუ აღნიშნული უკავშირდება არსებულ დარგობრივ მახასიათებელში განხორციელებული ცვლილებიდან გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ მახასიათებელთან ან ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანას. ასეთ შემთხვევაში, აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა არ განიხილება ახალ პროგრამად.

4.8. პროფესიულ სტუდენტთა კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, ცვლილების განხორციელებამდე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები სწავლას აგრძელებენ მოდიფიცირებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, საჭიროების შემთხვევაში განსხვავებული სასწავლო გეგმით, ისე, რომ მიღწეულ იქნას მოდიფიცირებული პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები.

4.9. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში დაწესებულება შესაბამისი უწყებების ინფორმირებას განახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4.10. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში(მათ შორის ავტორიზაციის დაკარგვის შემთხვევაში), კოლეჯისთვის მნიშვნელოვანია შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა. შესაბამისად, კოლეჯში არსებობს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა შეცვლილი ან გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების გათვალისწინებით.

4.11. პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფას კოლეჯი ახორციელებს შემდეგი მექანიზმების გამოყენებით:

ა) მისცეს მიმდინარე საფეხურის დასრულების შესაძლებლობა გასაუქმებელი საგანამანათლებლო პროგრამის სტუდენტებს. ამ შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება არ ხორციელდება.

ბ) ხელი შეუწყოს პროფესიული სტუდენტის მობილობის პროცესს. ასეთი შემთხვევებისათვის დაწესებულება აფორმებს ხელშეკრულებას სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რომლებიც ახორციელებენ ანალოგიურ/მსგავს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

გ) შესთავაზოს პროფესიულ სტუდენტს ამავე ან სხვა დაწესებულებაში, იმავე ან მსგავსი მიმართულებისა და სპეციალობის ფარგლებში განხორციელებულ სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლა მობილობის წესით;

დ) უზრუნველყოს სტუდენტების ინფორმირება სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ რეალიზებული რელევანტური საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ;

ე) გააცნოს სტუდენტს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მობილობის წესი, ვადები და პირობები.

4.12. დაწესებულებაში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, პროფესიული სტუდენტთა ინტერესების დაცვისა და შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით, ხარისხის მართვის მენეჯერი ვალდებულია შეისწავლოს გასაუქმებელი საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობა მომიჯნავე/მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამასთან გაერთიანების ან ახალი საგანმანათლებლო პროგრამით ჩანაცვლების შესაძლებლობის საკითხი და შესაბამისი დასკვნა წარუდგინოს დირექტორს.

5. მუხლი - პროფესიული პროგრამის შეფასება

5.1. პროფესიული პროგრამის შეფასების პროცესი ადგენს პროფესიული პროგრამების შეფასების განხორციელებას და შეფასების შესაძლო შედეგებს.

5.2. პროფესიული პროგრამის შეფასების ანალიზს ახორციელებს ხარისხის მართვის მენეჯერი.

5.3. ხარისხის მართვის მენეჯერი.პროფესიული პროგრამის შეფასების/ანალიზის დროს განსაზღვრავს შემდეგ კრიტერიუმებისადმი პროფესიული პროგრამის შესაბამისობას:

5.4. სწავლებისათვის გამოყენებული ლიტერატურის შესაბამისობას პროფესიული პროგრამით მისაღწევ შედეგებთან. ლიტერატურა უნდა იყოს ახალი და ასახავდეს მოცემულ დარგში დამკვიდრებულ პროფესიულ სტანდარტებს, რომელიც ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში ნაბეჭდი ან ინფორმაციის ელექტრონული მატარებლის სახით;

5.5. სწავლების მეთოდების რელევანტურობას სწავლის შედეგებთან მიმართებაში და პროფესიული სტუდენტის/მსმენელის აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფას;

5.6. პროგრამის განხორციელებისას გამოყენებული სასწავლო-ტექნიკური საშუალებების და დამხმარე თვალსაჩინოებების სწავლების მეთოდებთან შესაბამისობას;

5.7. შეფასების მოქმედი სისტემა არის თუ არა პროფესიული სტუდენტისათვის/მსმენელისათვის წინასწარ ცნობილი;

5.8. პროგრამის ხანგრძლივობის რეალურობას;

5.9. პრაქტიკის ობიექტზე პროფესიულ სტუდენტთა შრომის და სწავლის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმების დაცულობას;

5.10. პროგრამის განხორციელებაში სათანადო მომზადების პროფესიული მასწავლებლების დაკავებულობას;

5.11. პროფესიული მასწავლებლებისათვის, ადმინისტრაციული პერსონალისათვის საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტიანად წარმართვის მიზნით დამატებით ტრენინგის /კონსულტირების /სტაჟირების საჭიროების განსაზღვრას;

5.12. პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკას (მოწმდება რამდენი კურსდამთავრებული და პროფესიული სტუდენტი/მსმენელი დასაქმდა პროფესიული პროგრამის მიმართულებით/პროფესიით).

5.13. საჭიროებიდან ან მოთხოვნიდან გამომდინარე შეიძლება გამოყენებული იყოს შეფასების სხვა კრიტერიუმები.

5.14. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისას გამოიყენება პროფესიული სტუდენტების/მსმენელების, პროფესიული მასწავლებლების, ადმინისტრაციული პერსონალის, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულთა გამოკითხვებით მოპოვებული ინფორმაცია და კოლეჯის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშები.

5.15. ხარისხის მართვის მენეჯერი აანალიზებს მონაცემებს. ანალიზის შედეგად იძლევა დადებით ან უარყოფით დასკვნას. უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში პროფესიული პროგრამის შემდგომი სრულყოფის მიზნით განსაზღვრავს რომელი კრიტერიუმები ვერ დააკმაყოფილა პროფესიულ პროგრამამ და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით ახორციელებს გამოვლენილი პრობლემის/სისუსტის/ხარვეზის გამოსწორების ადეკვატურ სამუშაო გეგმას.

5.16. ხარისხის მართვის მენეჯერი დირექტორს წარუდგენს ანალიზის მონაცემებს, საჭიროების შემთხვევაში გამოვლენილ პრობლემის/სისუსტის/ხარვეზის გამოსწორების ადეკვატურ სამუშაო გეგმას და პროფესიული პროგრამის გაუმჯობესების მიზნით იგეგმება კონკრეტული მოქმედებები/აქტივობები/ღონისძიებები, რომელშიც ჩართული იქნება საჭიროებიდან გამომდინარე კოლეჯის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები.

5.17. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასებისას გამოიყენება შიდა ვერიფიკაციის შედეგები.

6. მუხლი - პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

6.1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/მომზადება-გადამზადების პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება კოლეჯის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიით. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია ითვალისწინებს კოლეჯის რესურსსა და განსახორციელებელი პროგრამის სპეციფიკას.

6.2. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას ან გაზრდისას მხედველობაში მიიღება:

6.2.1. A,B,C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა სამუშაო ადგილებისა და ტექნიკური აღჭურვილობის რაოდენობა;

6.2.2. პროფესიული პროგრამის ხანგრძლივობა;

6.2.3. ადამიანური რესურსი.

6.3. პარტნიორი ორგანიზაციის რესურსი და გამტარუნარიანობა. (პროგრამის განმახორციელებელ პარტნიორ ორგანიზაციასთან შეთანხმებული ადგილების რაოდენობა ან რამდენიმე პარტნიორ ორგანიზაციის შემთხვევაში- ადგილების ჯამი).

6.4. A ტიპის სასწავლო გარემო თეორიული მეცადინეობებისთვის არის განკუთვნილი და აღჭურვილია პროფესიული სტუდენტების/მსმენელების, პროფესიული მასწავლებლის მაგიდითა და სკამით, დაფით, კომპიუტერითა და მონიტორით/პროექტორით, აუდიო მოწყობილობით და სხვა.

6.5. B ტიპის სასწავლო გარემო კომპიუტერული ლაბორატორიაა და აღჭურვილია კომპიუტერებით, პრინტერით, სასწავლო მერხებითა და სკამებით, მონიტორით/პროექტორით. პროფესიული მასწავლებლის მაგიდით, სკამით და კომპიუტერით. კომპიუტერების რაოდენობა უნდა იძლეოდეს იმის შესაძლებლობას, რომ ყოველმა პროფესიულმა სტუდენტმა შეძლოს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მეცადინეობაზე დასწრება ინდივიდუალურ კომპიუტერთან;

6.6. C ტიპის სასწავლო გარემო აღჭურვილია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/მომზადებისა და გადამზადების პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის მოდულებში მითითებული მატერიალური რესურსით-ინვენტარით.პრაქტიკული სტუდენტების რაოდენობა პრაქტიკის ოთახში გაიანგარიშება შემდეგი პრინციპით:

6.6.1. ყოველ პროფესიულ სტუდენტზე სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა/ყოველ პროფესიულ სტუდენტზე სასწავლო გარემოს ფართი(პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე); კონკრეტული პროფესიულ

საგანმანათლებლო პროგრამით/საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ინვენტარი და აღჭურვილობა;

6.6.2. მოდულის განხორციელებისათვის შესაძლოა საჭირო იყოს ორი ან სამი გარემო ერთად, ამ შემთხვევაში მიეთითება შესაბამისი აღნიშვნა სათანადო დოკუმენტში.

6.7. იმ შემთხვევაში, თუ ერთი და იგივე გარემო (აუდიტორია) გამოიყენება ორი ან მეტი პროგრამისა და ჯგუფისათვის, ფართი და აღჭურვილობა უნდა იძლეოდეს იმის შესაძლებლობას, რომ ყოველმა პროფესიულმა სტუდენტმა შეძლოს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მეცადინეობაზე დასწრება შეუფერხებლად;

6.8. თუ ერთი და იგივე რესურსი გამოიყენება სხვადასხვა პროგრამის მიზნებისათვის, კონტინგენტის დასაბუთებისას გათვალისწინებული უნდა იქნას ვთქვათ გარემოს შესაძლებლობები/გამტარუნარიანობა თითოეულ პროგრამასთან მიმართებაში. იმ შემთხვევაში თუ ერთი და იგივე პროგრამა იზიარებს საერთო პრაქტიკის ბაზას, უნდა ჩანდეს ამ ბაზის გამოყენების მექანიზმი ორივე პროგრამის მიზნებისათვის;

6.9. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის განკუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (მოდულებით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისათვის საჭირო, ავტორიზაციის ვადით მფლობელობაში ან/და სარგებლობაში არსებული (დადასტურებული შესაბამისი მემორანდუმებით / ხელშეკრულებებით), სათანადო აღჭურვილობის სასწავლო ფართი, ასევე კომპიუტერული (ციფრული) ტექნიკა, სპორტული, შემოქმედებითი, თუ სხვა არასაუდიტორიო აქტივობებისათვის საჭირო სივრცეების ხელმისაწვდომობა, რაც სამუშაო საათებში, სხვადასხვა ცვლაში უნდა იძლეოდეს, სწავლების წინასწარ განსაზღვრული შედეგის უზრუნველყოფას);

6.10. პრაქტიკის ობიექტ(ებ)ის/პარტნიორ საწარმო(ები)ს შესაძლებლობები;

6.11. სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრისას ასევე გაითვალისწინება:

6.12. პროგრამის ავტორიზაციის ვადის ფარგლებში, პროფესიულ სტუდენტთა პროგრესის შესაბამისად სასწავლო წლების მიხედვით სტუდენტთა გადანაწილების შესაძლებლობა;

6.13. საგანმანათლებლო პროგრამის დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა;

6.14. ბიბლიოთეკის რესურსი;

6.15. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დროს ხდება ზემოაღნიშნული ასპექტების შესაბამისობის დადგენა სამიზნე ნიშნულებთან.

6.16. კოლეჯში თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისათვის პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება შესაბამისი სამუშაო ჯგუფის მიერ აღნიშნული მეთოდოლოგიით და მიღებული გადაწყვეტილება მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით.

7. მუხლი - პროფესიულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

7.1. საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც აქვს სულ მცირე საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

7.2. საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც აქვს სულ მცირე სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი.

7.3. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი.

7.4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების პროცედურები განისაზღვრება კოლეჯის მიერ შემუშავებული „პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესის“ შესაბამისად.

თავი 2. სასწავლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება

8. მუხლი - სასწავლო პროცესის დაგეგმვა

8.1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესს კოლეჯში წარმართავს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური.
8.2. სასწავლო პროცესის დაგეგმვის ორგანიზებისას კოლეჯი ითვალისწინებს შესაბამისი პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობას, რომლის მიხედვითაც ხდება პროფესიული სტუდენტების ჯგუფებად დაყოფის საჭიროების დადგენა.
8.3. სასწავლო პროცესის ორგანიზებისას, კოლეჯის სასწავლო პროცესის მართვის სამსახური ხელმძღვანელობს შესაბამისი პროგრამის სასწავლო გეგმით, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას, დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის სავარაუდო კვირეული დატვირთვა. კლინიკური მოდულების განხორციელებისას პრაქტიკის ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლოა მხედველობაში იყოს მიღებული საქართველოს მთავრობის 2013 წლის 11 დეკემბრის №329 დადგენილება „სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის დარგების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ“.
8.4. ფორს-მაჟორული გარემოებების შემთხვევაში, როდესაც სასწავლო გეგმის დაცვა ვერ ხერხდება კოლეჯი მოქნილად რეაგირებს მსგავს გარემოებებზე და პროფესიულ სტუდენტს სთავაზობს მის ინტერესებზე მორგებული პირობებით ადეკვატური განათლების მიღებას სასწავლო პროცესის ცვლილებით, ჰიბრიდული ან დისტანციური სწავლებით.
8.5. კოლეჯში სასწავლო პროცესი ხორციელდება ვალიდური, თანამედროვე და ინოვაციური მეთოდებით და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით.
8.6. კოლეჯში სასწავლო პროცესის განხორციელებისას გათვალისწინებულია უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოს შექმნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე.
8.7. კოლეჯში სწავლება მიმდინარეობს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად.
8.8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება,
8.9. მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის
8.10. შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, არსებობის შემთხვევაში - პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები.
8.11. პროფესიული სტუდენტის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განისაზღვრება შესაბამისი პროფესიულისაგანმანათლებლო პროგრამით.
8.12. კოლეჯში დაწესებულია ხუთდღიანი სასწავლო კვირა, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.
8.13. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შაბათი, როგორც სასწავლო/სამუშაო დღე.
8.14. ლექციის ხანგრძლივობაა ერთი ასტრონომიული საათი (აკადემიური საათი - 50 წუთი, ლექციებს შორის პერიოდში შესვენება - 10 წუთი.
8.15. სასწავლო კვირაში სწავლება მიმდინარეობს სალექციო განრიგის მიხედვით, რომელიც შედგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის შესაბამისად.
8.16. სალექციო განრიგი მოიცავს შემდეგ მონაცემებს:
ა) მოდულის დასახელება;
ბ) ლექციის დაწყების დრო და ხანგრძლივობა.
8.17. სასწავლო ცხრილის თაობაზე პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიულ მასწავლებელთა და სხვა დაინტერესებული პირების ინფორმირებას ახორციელებს სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტი.
8.18. სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტი სასწავლო ცხრილს განათავსებს თვალსაჩინო ადგილზე-საინფორმაციო დაფაზე ან პროფესიულ სტუდენტებს და პროფესიულ მასწავლებლებს მიაწოდებს ელექტრონული ფორმით.
8.19. სასწავლო ცხრილში ცვლილებას ახორციელებს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი.
8.20. ერთი და იმავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პარალელურ ჯგუფებში პროფესიული სტუდენტების რაოდენობის მკვეთრი შემცირების შემთხვევაში, კოლეჯი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ჯგუფების გაერთიანების შესახებ.

8.21. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დროს შესაძლებელია გამოყენებული იყოს ელექტრონული სწავლების კომპონენტი.
8.22. ელექტრონული სწავლება (დისტანციური სწავლება) პროფესიულ სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს გამოიყენონ პერსონალიზებული და მოქნილი (დროისა და ადგილის მიხედვით) მეთოდები, ამასთანავე უზრუნველყონ სწავლის შედეგების მიღწევა ონლაინ ინფორმაციის წყაროების, ასევე ვიდეო და აუდიო არხების გამოყენების გზით, რაც ,,ელექტრონული სწავლების წესი''-ს შესაბამისად რეგულირდება.
8.23. სწავლების ელექტრონული სისტემა უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას უზრუნველყოფილი იყოს სწავლის შედეგებზე გასვლა.

9. მუხლი - მოდულის განხორციელებისათვის კალენდარული გეგმების შემუშავება

9.1. მოდულის კალენდარულ გეგმას შეიმუშავებს შესაბამისი მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი. მოდულის კალენდარული გეგმის შემუშავება სავალდებულო არ არის პრაქტიკის განხორციელებისას.
9.2. მოდულის კალენდარული გეგმის პროექტს, რომელსაც შეიმუშავებს პროფესიული მასწავლებელი წარუდგენს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერსან/და შესაბამის პროგრამის ხელმძღვანელს მოდულის დაწყებამდე 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე.
9.3. საჭიროების შემთხვევაში სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი ან/და პროგრამის ხელმძღვანელი შენიშვნებითა და წინადადებებით უბრუნებს პროფესიულ მასწავლებელს.
9.4. თუ მოდულის კალენდარული გეგმის პროექტი არ საჭიროებს ცვლილებების განხორციელებას, მას ითანხმებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მენეჯერი და ადებს გრიფს- „შეთანხმებულია სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერთან.“
9.5. მოდული ხორციელდება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურთან შეთანხმებული კალენდარული გეგმის მიხედვით.
9.6. იმ შემთხვევაში, თუ სასწავლო პროცესი ვერ მიმდინარეობს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურთან შეთანხმებული მოდულის კალენდარული გეგმის მიხედვით, პროფესიული მასწავლებელი ახორციელებს მითითებებს დოკუმენტის შესაბამის გრაფაში.
9.7. სასწავლო პროცესის შეჩერების ან სხვა გარემოების დადგომისას, რაც მნიშვნელოვნად ცვლის კალენდარული გეგმით განსაზღვრულ დროს ან შინაარსს, ცვლილებების პროექტს შეიმუშავებს პროფესიული მასწავლებელი და წარუდგენს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს ან/და პროგრამის ხელმძღვანელს.

10. მუხლი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი

10.1. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი-შესაბამისი დარგის სპეციალისტი.
10.2. პროგრამის ხელმძღვანელი პროფესიულ მასწავლებლებთან ერთად მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირებაში, დანერგვასა და მოდიფიცირებაში, პროგრამის განვითარების პროცესებში. მონაწილეობს განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე პროგრამის ხელმძღვანელი კურირებს პროფესიულ სტუდენტთა სწავლებას სასწავლო ბაზებზე.

11. მუხლი - პროფესიული მასწავლებელი

11.1. პროფესიული მასწავლებელი არის პირი, რომელიც სასწავლო პროცესს წარმართავს პროფესიული განათლების ფარგლებში.
11.2. კოლეჯში პროფესიული პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.
11.3. კოლეჯში ერთ მოდულს შეიძლება ჰყავდეს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ერთი ან მეტი განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი.
11.4. კოლეჯში პროფესიული მასწავლებლის დატვირთვა მოიცავს მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებულ აქტივობებს (საკონტაქტო საათების ჩატარებას, განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტის მომზადებას, პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ნაშრომების შემოწმებას,

პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვას) და კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 (ორმოცი) საათს.

11.5. სათანადო კვალიფიკაციის მქონე კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენელს უფლება აქვს განახორციელოს ძირითადი და სასწავლო საქმიანობა.

12. მუხლი - პროფესიულ მასწავლებლებთან სამუშაო შეხვედრის ორგანიზება

12.1. პროფესიულ მასწავლებლებთან სამუშაო შეხვედრის ორგანიზებას ახორციელებს კოლეჯის სასწავლო პროცესის მართვის სამსაახური.

12.2. განსახილველი საკითხიდან გამომდინარე პროფესიულ მასწავლებლებთან სამუშაო შეხვედრას შეიძლება ესწრებოდეს: დირექტორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის წარმომადგენელი, ხარისხის მართვის მენეჯერი, ბიბლიოთეკარი , ფინანსური მენეჯერი და სხვა.

12.3. დღის წესრიგიდან გამომდინარე სამუშაო შეხვედრაზე განიხილება მიმდინარე საჭიროებებიდან გამომდინარე საკითხები.

თავი 3. პროფესიული სტუდენტი

13. მუხლი - პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრების ორგანიზება

13.1. პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრის ორგანიზებას ახორციელებს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი;

13.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გასაზღვრულ შეხვედრას ასევე შესაძლოა ესწრებოდნენ კოლეჯის ყველა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელი და საშტატო პერსონალი;

13.3. პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრის მიზანია პროფესიულ სტუდენტებს გაეცნოს კოლეჯის პერსონალი, მიეწოდოთ ამომწურავი ინფორმაცია სასწავლო პროცესის, კოლეჯისა და პროფესიული სტუდენტის თანამშრომლობის საკითხებზე;

13.4. პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრაზე პროფესიულ სტუდენტებს, მათ კანონიერ წარმომადგენლებს, კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერი და დირექტორი აცნობს:

ა) კოლეჯის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს;

ბ) კოლეჯის შინაგანაწესს;

გ) პროფესიული სტუდენტის უფლებებსა და ვალდებულებებს;

დ) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

ე) სასწავლო კალენდარს;

ვ) მეცადინეობის განრიგს;

ზ) სწავლის შედეგების დადასტურების წესსა და აპელაციის მექანიზმებს;

თ) სასწავლო პროცესის განხორციელასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

13.5. სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი პროფესიულ სტუდენტებს წარუდგენს კოლეჯის პერსონალს და აცნობს იმ სერვისებს, რომელთა სარგებლობისათვის უნდა მიმართონ ამა თუ იმ პერსონალს.

13.6. პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრაზე პროფესიულ სტუდენტებს, მათ კანონიერ წარმომადგენლებს, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი აცნობს:

13.6.1. პროფესიული სტუდენტების როლს, მნიშვნელობას და უფლება-მოვალეობებს ხარისხიანი საგანმანათლებლო მომსახურების მიღებისას;

13.6.2. პროფესიული სტუდენტების ჩართულობის მნიშვნელობას მათთან დაკავშირებული პროცესების ობიექტურად შეფასებაში, რაც უზრუნველყოფს ხარისხის მაღალი სტანდარტების დამკვირდებას

13.6.3. პროფესიული სტუდენტების აზრის ანონიმურად და ღიად გამოხატვის შესაძლებლობებს, მათ შორის ელექტრონული კითხვარების გამოყენებას, ინდივიდუალური და ჯგუფური შეხვედრების ფორმატისა და სხვა საშუალებების გამოყენებას და სხვა საკითხებს, მიმდინარე საჭიროებიდან გამომდინარე.

13.6.4. პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრაზე პროფესიულ სტუდენტებს, მათ კანონიერ წარმომადგენლებს, პროფესიულ სტუდენტთა სერვისებსა და მხარდაჭერის ღონისძიებებს;

13.6.5. პროფესიულ სტუდენტთა ინიციატივების წარმოდგენისა და მხარდაჭერის პროცედურებს;

13.6.6. ექსტრაკურიკულური აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების, მათ შორის პროფესიულ
13.6.7. სტუდენტენთა ჩართულობის მნიშვნელობასა და პროცედურებს;
13.6.8. კოლეჯის პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა, პარტნიორების და სხვა პირების პერსონალის მონაცემების დაცვის, კანონმდებლობითა და კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტებით დადგენილი წესით დამუშავების პროცედურებს;
13.6.9. სხვა საკითხებს მიმდინარე საჭიროებიდან გამომდინარე.

13.7. პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრაზე პროფესიულ სტუდენტებს, მათ კანონიერ წარმომადგენლებს, კოლეჯის ბიბლიოთეკარი აცნობს:
13.7.1. საბიბლიოთეკო სერვისებსა და სარგებლობის წესებს;
13.7.2. საბიბლიოთეკო ფონდით სარგებლობის წესებსა და მკითხველად რეგისტრაციის ვალდებულებებს;
13.7.3. ბიბლიოთეკის ინიციატივით დაგეგმილ აქტივობებს;
13.7.4. სხვა საკითხებს მიმდინარე საჭიროებიდან გამომდინარე.

13.8. პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრაზე პროფესიულ სტუდენტებს, მათ კანონიერ წარმომადგენლებს, კოლეჯის ექთანი და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი აცნობს:
13.8.1. კოლეჯის სამუშაო/სასწავლო პროცესში შრომის უსაფრთხოების ნიშნებს და მექანიზმებს;
13.8.2. პირველადი სამედიცინო დახმარების ღონისძიებებსა და პასუხიმგებელ პირს;
13.8.3. შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით დაგეგმილი აქტივობებისა და ტრენინგების/ინსტრუქტაჟის შესახებ;
13.8.4. სხვა საკითხებს მიმდინარე საჭიროებიდან გამომდინარე.

13.9. პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრაზე პროფესიულ სტუდენტებს, მათ კანონიერ წარმომადგენლებს, კოლეჯის სხვა სამსახურის წარმომადგენლები/პერსონალი აცნობენ მიმდინარე საჭიროებიდან გამომდინარე სხვა საკითხებს.

14. მუხლი - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება

14.1. ეს მუხლი განსაზღვრავს კოლეჯის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (შემდგომში - სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შემდგომში - შშმ) პროფესიული სტუდენტებისათვის/მსმენელებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) კონკრეტული მოდულის მოდიფიცირების (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივი ან რაოდენობრივი ცვლილება) ან აკომოდირების (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილება მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) მიზნით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება კონკრეტული მოდულის საფუძველზე და წარმოადგენს მის დაზუსტებას სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტისათვის/მსმენელისათვის.

14.2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება შეიქმნას კონკრეტული პროფესიული სტუდენტისთვის/პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფისთვის ან მსმენელის/მსმენელებისთვის.

14.3. დასაშვებია იმდენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რამდენ მოდულშიც გამოვლინდება სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები. აგრეთვე, შიდა და გარე მობილობის, პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენის დროს.

14.4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება დგება მაშინ, როდესაც: სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტი/მსმენელი, ვერ აღწევს სწავლის შედეგებს.

პროცესი: პროფესიული მასწავლებელი მიმართავს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს ან/და შესაბამის პროგრამის ხელმძღვანელს სასწავლო პროცესზე დასწრება-დაკვირვების მიზნით.ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროების დადასტურების შემთხვევაში, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯრი,შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი, და შესაბამისი მოდულის პროფესიულ მასწავლებელთან ერთად გონივრულ ვადაში შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას პროფესიული სტუდენტის/მსმენელის ინტერესების გათვალისწინებით.

14.5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობით გადმოსული (გარე ან შიდა მობილობის შემთხვევაში) პროფესიული სტუდენტი, რომლის სწავლის შედეგები განსხვავებულია კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებთან.

პროცესი: სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით ადგენს პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებს თითოეული მოდულის ფარგლებში, ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების შესაბამისობას, წერს დასკვნას და საჭიროების შემთხვევაში შეიმუშვებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით.

14.6. პროფესიული სტუდენტი, რომელსაც შეჩერებული ჰქონდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი, აგრეთვე პროფესიული სტუდენტი,რომელსაც საპატიო მიზეზით გაუცდა (ავადმყოფობა, მშობიარობა და ა.შ.) სასწავლო პროცესი და მიზეზების აღმოფხვრის შემდეგ საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას.

პროცესი: პროფესიული სტუდენტი სწავლას აგრძელებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის იმ ეტაპიდან, როდესაც მას შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი/აღარ მონაწილეობდა სასწავლო პროცესში, რისთვისაც სასწავლო პროცესის მართვის მენეჯრი, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამის ათვისებულ სწავლის შედეგებს და შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას პროფესიული სტუდენტის სასწავლო პროცესში ჩართვის მიზნით, ასათვისებელი მოდულების წინაპირობების დაცვით.

14.7. შემუშავებულ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.
14.8. პროფესიული სტუდენტი/მსმენელი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში,ხოლო არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის/მსმენელის, შშმ პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შემთხვევაში, ჩართული იქნება მისი კანონიერი წარმომადგენელი.
14.9. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა განსაზღვრული უნდა იქნას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების ვადის ფარგლებში.
14.10. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიმდინარეობაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი.

15. მუხლი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიდგომები და საწარმოო პრაქტიკის/ კლინიკური სწავლების/ პრაქტიკული სწავლების განხორციელების წესი

15.1. წინამდებარე მუხლი განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიდგომებს და პროფესიული სტუდენტის მიერ საწარმოო პრაქტიკა / კლინიკური სწავლების/პრაქტიკული სწავლების (შემდგომში პრაქტიკული კომპონენტი) გავლასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო და მეთოდურ საკითხებს.
15.2. კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული ფორმით. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება არის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების ფორმა, რომელიც ითვალისწინებს ამ პროგრამით გათვალისწინებული ზოგიერთი სწავლის შედეგის იმიტირებულ სამუშაო გარემოში ან/და რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევას (მათ შორის, დუალური სწავლებით).
15.3. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება გულისხმობს პროგრამით გათვალისწინებული ზოგიერთი სწავლის შედეგის მიღწევას რეალურ ან/და იმიტირებულ სამუშაო გარემოში.
15.4. პროგრამით განსაზღვრული ზოგიერთი სწავლის შედეგის რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევა შესაძლებელია დუალური ან კოოპერაციული სწავლებით.
15.5. პროგრამით განსაზღვრული ზოგიერთი სწავლის შედეგის იმიტირებულ სამუშაო გარემოში მიღწევა შესაძლებელია, განხორციელდეს დაწესებულებაში.
15.6. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება ხორციელდება რეალურ (კოოპერაციული სწავლება) ან იმიტირებულ გრემოში(დაწესებულებაში).
15.7. დაწესებულებასთან ერთად პროგრამის კოოპერაციული სწავლების სახით განხორციელების უფლება აქვს მეწარმე სუბიექტს/იურიდიულ პირს ან საქართველოს კანონმდებლობით

დადგენილი წესის შესაბამისად მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსის/ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირს.

15.8. კოოპერაციული სწავლება გულისხმობს დაწესებულებისა და ამ წესის 15.7. პუნქტით განსაზღვრული სუბიექტის მიერ პროგრამის ერთობლივად განხორციელებას, როდესაც შესაბამისი პროგრამის დარგობრივი მოდულებით გათვალისწინებული კრედიტების არაუმეტეს 50%-ის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევა ხდება რეალურ სამუშაო გარემოში, გარდა იმ შემთხვევისა თუ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განისაზღვრება კოოპერაციული სწავლების ფარგლებში პროგრამის დარგობრივი მოდულებით გათვალისწინებული კრედიტების 50%-ზე მეტის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა/დასაშვებობა რეალურ სამუშაო გარემოში (საექთნო განათლება).

15.9. პრაქტიკის მიზანია პროფესიულ სტუდენტს განუვითაროს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის კონკრეტულ სიტუაციაში გამოყენების პრაქტიკული უნარ-ჩვევები, ხელი შეუწყოს სამუშაო გარემოში მათ ადაპტაციას; პრაქტიკის შინაარსი განისაზღვრება კონკრეტული მოდულით/სწავლის შედეგით.

15.10. პრაქტიკის ობიექტი - მეწარმე სუბიექტი/ იურიდიული პირი, ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსის/ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირი, რომელთანაც გაფორმებულია დოკუმენტი კოოპერაციული სწავლების მიზნით თანამშრომლობის შესახებ.

15.11. პრაქტიკის ობიექტი უნდა უზრუნველყოფდეს შესაბამის მოდულის/სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობებს; პროფესიულ სტუდენტებისთვის ადეკვატურ, უსაფრთხო და მოდულის შინაარსის შესაბამის ინფრასტრუქტურას.

15.12. პრაქტიკის ობიექტის შერჩევისას დაწესებულებასთან ერთად პროგრამის კოოპერაციული სწავლების სახით განხორციელების მიზნით, პრაქტიკის ობიექტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) აცნობიერებდეს პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულობის მნიშვნელობას და საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის პასუხისმგებლობას და ჰქონდეს პროგრამის განხორციელებაში ჩართვის მოტივაცია;

ბ) მისი ადამიანური და მატერიალური რესურსი შესაბამისობაში უნდა იყოს პროგრამის მოთხოვნებსა და სწავლის შედეგებთან;

გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზიას/ნებართვას ან სხვა სპეციალურ რეგულირებას დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, მოპოვებული ჰქონდეს ლიცენზია/ნებართვა ან სპეციალური რეგულირებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილება;

15.13. კრიტერიუმებთან შესაბამისობის დადგენასა და მონიტორინგს უზრუნველყოფს დაწესებულების პასუხისმგებელი პირი;

15.14. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ინიცირებულ იქნას დამატებითი კრიტერიუმების გამოყენება;

15.15. კრიტერიუმთან შესაბამისობის მონიტორინგი (ანუ ხელშეკრულების პირობების სათანადოდ შესრულება) ხორციელდება სტუდენტთა შეფასებების და კმაყოფილების კვლევის შედეგების ანალიზის, ასევე პრაქტიკის კომპონენტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის უკუკავშირის საფუძველზე (სტუდენტთა კმაყოფილების კვლევაში უნდა იყოს კითხვები პრაქტიკის ობიექტის მიერ გაწეული მომსახურების შესახებ);

15.16. მითითებულ კრიტერიუმებთან შესაბამისობის დადგენა ხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე ვიზიტის გზით, რომლის დროსაც ხდება ობიექტის ინფრასტრუქტურის დათვალიერება და პროგრამის განხორციელებში ჩართულ პერსონალთან შეხვედრა მისაღწევი სწავლის შედეგების კონტექსტში, რაც დასტურდება გამართული შეხვედრის ამსახველი მტკიცებულებებით (ვებგვერდზე ან სოცქსელში განთავსებული ინფორმაცია, ფოტომასალა, პრეზენტაცია და სხვა) და გაფორმებული ხელშეკრულებით;

15.17. მითითებულ კრიტერიუმებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით კოლეჯი უზრუნველყოფს შესაბამისი ლიცენზიის/ნებართვის ან სპეციალური რეგულირებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის გამოთხოვას პრაქტიკის ობიექტისგან;

15.18. გაფორმებული ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს პრაქტიკის ობიექტის ვალდებულებას ლიცენზიის/ნებართვის ან სპეციალური რეგულირებით გათვალისწინებული სხვა

უფლებამოსილების შეჩერების ან ჩამორთმევის თაობაზე კოლეჯის ინფორმირების შესახებ გონივრულ ვადებში;

15.19. თანამშრომლობის შეთანხმების შესახებ ინფორმაციის რეესტრში განთავსებაზე პასუხისმგებელია რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი შეთანხმების გაფორმებიდან 5 დღის ვადაში;

შენიშვნა: ***პუნქტი: 15.12 არ ვრცელდება 2022 წლის 9 აგვისტომდე გაფორმებულ თანამშრომლობის დოკუმენტებზე.***

15.20. კოლეჯსა და პრაქტიკის ობიექტს შორის იდება ხელშეკრულება, სადაც გაწერილია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების პირობები.

ა) საწარმოო პრაქტიკის/ კლინიკური სწავლების/პრაქტიკული სწავლების განხორციელება მოხდება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაცია გამოყოფს პრაქტიკის ინსტრუქტორ(ებ)ს/კოორდინატორებს/განმახორციელებ-ლებს, რომელიც ვალდებულია მომსახურება გაწიოს უშუალოდ;

ბ) პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად კოლეჯი წინასწარ განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტების რაოდენობას;

გ) საწარმოო პრაქტიკის/კლინიკური სწავლების/პრაქტიკული სწავლების განხორციელების დაწყებამდე არაუგვიანეს 10 დღისა კოლეჯმა პრაქტიკის ობიექტს უნდა მიაწოდოს პროფესიული სტუდენტების სია (შეთანხმებული რაოდენობის ფარგლებში. სტუდენტთა სიის რედაქტირება შესაძლებელია პრაქტიკის დაწყებამდე), მოდული და სხვა;

დ) პრაქტიკული კომპონენტი უნდა განხორციელდეს მოდულის შესაბამისად კოლეჯსა და პრაქტიკის ობიექტს შორის დადებულ ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრულ მისამართზე.

15.21. პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული თანამშრომლობის დოკუმენტი უნდა მოიცავდეს შემდეგ აუცილებელ რეკვიზიტებს:

ა) პრაქტიკის ობიექტისა და დაწესებულების საიდენტიფიკაციო მონაცემებს;

ბ) პროგრამის სახელწოდებას, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება თანამშრომლობა;

გ) პრაქტიკის ობიექტისა და პროგრამის განხორციელების ადგილის მისამართებს;

დ) პრაქტიკის ობიექტზე მისაღწევი, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ჩამონათვალს;

ე) პრაქტიკის ობიექტის მიერ ერთდოულად მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობას;

ვ) პრაქტიკის ობიექტის ვალდებულებებს პროფესიული სტუდენტის პრაქტიკის ობიექტზე სწავლის/სამუშაოს შესრულების პერიოდში შრომის უსაფრთხოების წესების დაცვის უზრუნველყოფისა და უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნის შესახებ;

ზ) ხელშეკრულების ვადას, რომელიც არ უნდა იყოს პროგრამის ხანგრძლივობაზე ნაკლები და ხელშეკრულების შეწყვეტის პირობებს;

თ) პრაქტიკის ობიექტის/დაწესებულების სხვა უფლებებს, ვალდებულებებს, პასუხისმგებლობებსა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა საკითხებს.

15.22. კოლეჯი საწარმოო პრაქტიკის/ კლინიკური სწავლების /პრაქტიკული სწავლების განხორციელებისათვის გამოყოფს კოორდინატორს, რომელიც პასუხისმგებელია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების კოორდინაციაზე;

15.23. პრაქტიკის კოორდინატორი /პროგრამის ხელმძღვანელი აწყობს სამუშაო შეხვედრას პროფესიულ სტუდენტებთან პრაქტიკის დაწყებამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე. პროფესიული სტუდენტებისათვის ხდება შემდეგი ინფორმაციის მიწოდება:

ა. პრაქტიკის დღეების ხანგრძლივობა;

ბ. პრაქტიკის ადგილზე მისვლის და წამოსვლის დრო;

გ. დღის განმავლობაში პრაქტიკის საათების რაოდენობა;

დ.სავარაუდო განაწილება ობიექტებზე პროფესიული სტუდენტებისა და პრაქტიკის კოორდინატორის /პროგრამის ხელმძღვანელის ერთობლივი შეთანხმებით;

ე. პროფესიული სტუდენტებისათვის საწარმოო პრაქტიკის/ კლინიკური სწავლების /პრაქტიკული სწავლების შეფასების გაცნობა და პრაქტიკის დღიურების (საჭიროების შემთხვევაში) წარმოების წესის შესახებ.

15.24. საწარმოო პრაქტიკის/კლინიკური სწავლების/პრაქტიკული სწავლების განმახორციელებელმა პირმა პროფესიულ სტუდენტებს ვიზიტის პირველ დღეს გააცნოს დაწესებულების შინაგანაწესი,

უსაფრთხოების და ტერიტორიაზე მოქმედი ქცევის/ეთიკის წესები, პირველადი დახმარების მექანიზმები;

15.25. თუ საწარმოო პრაქტიკის/ კლინიკური სწავლების/პრაქტიკული სწავლების განხორციელებისას მოხდა კოლეჯსა და პრაქტიკის ობიექტს შორის დადებული ხელშეკრულების პირობებიდან გადახვევა, სავალდებულოა გონივრულ ვადაში, გამოსწორდესს ყველა ნაკლი, რათა არ დაზარალდეს სტუდენტი;

15.26. პრაქტიკის ობიექტი ან თავად უზრუნველყოფს განხორციელებას საწარმოო პრაქტიკის / კლინიკური სწავლების/პრაქტიკული სწავლების მის მფლობელობაში არსებული ინვენტარის გამოყენებით, ან კოლეჯი თავად მოახდენს საჭირო ინვენტარითა და მასალა ნედლეულით უზრუნველყოფას მოდულის შესაბამისად (ხელშეკრულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგ(ებ)ის შესაბამისად). აღნიშნული რეგულირდება მხარეებს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში;

15.27. პრაქტიკის ობიექტი უზრუნველყოფს მის ტერიტორიაზე პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოების დაცვას;

15.28. საწარმოო პრაქტიკის / კლინიკური სწავლების/პრაქტიკული სწავლების დასრულების შემდეგ გადასცეს კოლეჯს თითოეულ პროფესიულ სტუდენტზე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგ(ებ)ის დადასტურების/არდადასტურების დოკუმენტაცია;

15.29. თუ პროფესიული სტუდენტი, მიუხედავად გაფრთხილებისა, არ იცავს ობიექტზე არსებულ წესებს/ ნორმებს, პრაქტიკის ობიექტი ვალდებულია დროულად აცნობოს კოლეჯს ასეთი ფაქტის გამოვლენის შესახებ;

15.30. პრაქტიკის ობიექტს უფლება აქვს არ დაუშვას პროფესიული სტუდენტი პრაქტიკაზე, თუ იგი სისტემატიურად არღვევს არსებულ შინაგანაწესს, უსაფრთხოების და/ან სხვა ნორმებს და ამის შესახებ აცნობოს კოლეჯს;

15.31. საწარმოო პრაქტიკის/კლინიკური სწავლების/პრაქტიკული სწავლების მიმდინარეობის მონიტორინგი ხორციელდება პროგრამის ხელმძღვანელის/სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის მიერ;

15.32. კოლეჯს უფლება აქვს მისი წარმომადგენლის მეშვეობით ნებისმიერ დროს შეამოწმოს პრაქტიკის მიმდინარეობა, შესასრულებელი სამუშაოს მსვლელობა და ხარისხი;

15.33. პროფესიული სტუდენტის შეფასება ხორციელდება მოდულის შესაბამისად;

15.34. დამსაქმებლისაგან უკუკავშირის მიღება ხორციელდება ინტერვიუირების ან ანკეტური გამოკითხვის ან/და პრაქტიკის დღიურში არსებული სარეკომენდაციო ჩანაწერების საფუძველზე.

15.35. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხები, რომელიც არ არის დარეგულირებული აღნიშნული დოკუმენტით დარეგულირდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით №416 (2022 წლის 9 აგვისტო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ.

16. მუხლი - პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება

16.1. კოლეჯი მიღებას აცხადებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დაწესებულების საერთო კვოტისა და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებისთვის არსებული კვოტის გათვალისწინებით.

16.2. პირს, რომელსაც აქვს საბაზო, ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და აკმაყოფილებს პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე პროფესიული სტანდარტით დადგენილ დამატებით მოთხოვნებს, უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებელი პროფესიული ცოდნა და უნარები.

16.3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული "პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები"-ს შესაბამისად.

16.4. დირექტორის 2021 წლის 9 ივლისის N 01-17 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები“ არეგულირებს კოლეჯის მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა შიდა შერჩევისა და ჩარიცხვის პროცედურებს, რომელთა მიზანია პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებზე ორიენტირებული, ობიექტური, გამჭვირვალე მიდგომით, პროფესიულ სტუდენტთა მოზიდვისა და პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

16.5. საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე და საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული განათლების აღიარებას ახდენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №98/ნ ბრძანების „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე.

16.6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანება პირის კოლეჯში ჩარიცხვასთან დაკავშირებით.

16.7. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემაში მონაცემები, ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების შესახებ, შეიტანება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების „საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესის“ შესაბამისად.

17. მუხლი - პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება

17.1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება კოლეჯისა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან დროებით გათავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე. პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერების საფუძველი შესაძლოა იყოს:

17.1.1. პროფესიული სტუდენტის პირადი ან კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი განცხადება;

17.1.2. პროფესიული სტუდენტის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე;

17.1.3. მობილობის ფარგლებში სხვა სასწავლებელში გადასვლის შესახებ განცხადების დარეგისტრირება;

17.1.4. ფინანსური დავალიანების დადგენილ ვადებში გადაუხდელობა არსებობის შემთხვევაში;

17.1.5. პროფესიული სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების არაუმეტეს

17.1.6. 50%-ის დაუდასტურებლობის შემთხვევაში პროგრამის განხორციელების ძირითად ვადებში;

17.1.7. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, ორსულობა და ახალშობილის მოვლა;

17.1.8. პროფესიული სტუდენტის საქართველოს ფარგლებს გარეთ გასვლა პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების პერიოდში (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

17.1.9. კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემთხვევები.

17.2. პროფესიული სტუდენტი განცხადებით მიმართავს კოლეჯის დირექტორს. პროფესიული სტუდენტის პირადი განცხადება უნდა მოიცავდეს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მიზეზს. მიზეზის შინაარსი არ შეიძლება გახდეს პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერებაზე უარის თქმის საფუძველი.

17.3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ გამოიცემა კოლეჯის დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და მონაცემები აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

17.4. პროფესიული სტუდენტი, რომელსაც შეჩერებული აქვს სტატუსი არ განიხილება კოლეჯის პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში.

17.5. პროფესიულ სტუდენტსათვის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 5 წელი.

18. მუხლი - პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა

18.1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია იმავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, თუ კოლეჯი განახორციელებს მიღებას შემდეგ ნაკადზე.

18.2. პროფესიული პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია კონკრეტულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გადაჭარბებით.ამ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება შესაბამის პროგრამაზე მომდევნო მიღებისათვის დაწესებულების მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.

18.3. თუ პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენის მომენტისათვის კოლეჯი აღარ ახორციელებს იმ პროგრამას, რომელზეც პროფესიულ სტუდენტს შეუჩერდა სტატუსი, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია სხვა პროგრამაზე მობილობის განხორციელების გზით, კოლეჯის მიერ ამ დოკუმენტით დადგენილი პირობების გათვალისწინებით.

18.4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს ჩაეთვლება სტატუსის შეჩერებამდე ათვისებული კრედიტები და სწავლის გადახდილი საფასური არსებობის შემთხვევაში.

18.5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის მოთხოვნით, პროფესიული სტუდენტი (არასრულწლოვანის შემთხვევაში კანონიერი წარმომადგენელი) განცხადებით მიმართავს კოლეჯის დირექტორს. განცხადებაში უნდა მიეთითოს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მიზეზის აღმოფხვრის შესახებ და თან დაერთოს შესაბამისი მტკიცებულებითი დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში).

18.6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ გამოიცემა კოლეჯის დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და მონაცემები აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში.

19. მუხლი - პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

19.1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტად განიხილება კოლეჯისა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის უფლების გარეშე.

19.2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:

19.2.1. პროფესიული სტუდენტის სტატუსისშეჩერებიდან 5-წლიანი ვადის გასვლა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა, დაწესებულების წესდებით განსაზღვრული სხვა საფუძველი, რომელიც შეიძლება უკავშირდებოდეს დაწესებულების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობას ან პროფესიული სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელებას;

19.2.2. პროფესიული სტუდენტის პირადი ან კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი განცხადება;

19.2.3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, პროფესიული სტუდენტებისთვის კვალიფიკაციის მინიჭებიდან ორი კვირის ვადაში, პროფესიული სტუდენტის მიერ დამატებითი სასწავლო წლის არმოთხოვნა;

19.2.4. პროფესიული სტუდენტის მიერ კოლეჯში სწავლის უფლების მოპოვების მიზნით წარსადგენი დოკუმენტების არ წარდგენა ან/და არასათანადო დოკუმენტის წარდგენა;

19.2.5. სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა;

19.2.6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისათვის დადგენილი ვადის გასვლა, თუ არ მოხდა პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა;

19.2.7. კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;

19.2.8. პროფესიული სტუდენტის მიერ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების 40%-ის ან მეტის აუთვისებლობა;

19.2.9. დაწესებულებისათვის ყალბი დოკუმენტის, არასწორი ინფორმაციის წარდგენა, რაც საფუძვლად დაედო პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებას;

19.2.10. მოდულის „ქართული ენა A2“ ან მოდულის „ქართული ენა B1“ დაუდასტურებლობა;

19.2.11. დამატებითი სასწავლო წლისთვის გათვალისწინებულ ვადებში კვალიფიკაციის არმინიჭება;

19.2.12. კოლეჯის სასწავლო შინაგანაწესის მოთხოვნათა დარღვევა;

19.2.13. საკვალიფიკაციო გამოცდაზე ორჯერ უარყოფითი შეფასების მიღება;

19.2.14. გარდაცვალება;

19.2.15. კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

19.3. სტატუსშეწყვეტილ პროფესიულ სტუდენტს გადახდილი სწავლის საფასური არ უბრუნდება.
19.4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებით, დირექტორის მიერ გამოიცემა ბრძანება და ინფორმაცია კანონდებლობით დადგენილი წესით შეიტანება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემაში.
19.5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ბრძანების გამოცემის შემდეგ, მოთხოვნის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი დაწესებულებიდან იღებს თავის პირად საქმეში არსებულ დოკუმენტაციას.
19.6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მისი ხელახლა მოპოვება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი 4. პროფესიული სტუდენტის მობილობა

20. მუხლი - პროფესიული სტუდენტის მობილობის ზოგადი დებულებები

20.1. გარე მობილობისა და შიდა მობილობის (შემდგომში – მობილობა) უფლება აქვს პირს, რომელმაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი მოიპოვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და რომელიც მობილობის განხორციელების მომენტისთვის არის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტი;
20.2. მობილობის უფლება ასევე აქვს პირს, რომელსაც მობილობის განხორციელების მომენტისთვის შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი;
20.3. პროფესიული სტუდენტის მობილობა ხორციელდება შესაბამისი პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში;
20.4. უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე დაწესებულების ლიკვიდაციისას ან დაწესებულების მიერ პროგრამის განხორციელების უფლების დაკარგვის ან საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის გაუქმებისას, პროფესიული სტუდენტები მიიჩნევიან სტატუსშეჩერებულ პირებად და მათზე ვრცელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ ბრძანება №198/ნ (2019 წლის 20 სექტემბერი) პროფესიული სტუდენტის მობილობის წესით დადგენილი პირობები;
20.5. თუ პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენის მომენტისათვის დაწესებულება აღარ ახორციელებს იმ პროგრამას, რომელზეც პროფესიულ სტუდენტს შეუჩერდა სტატუსი, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ ბრძანება №198/ნ (2019 წლის 20 სექტემბერი) პროფესიული სტუდენტის მობილობის წესის მე-3 მუხლით გათვალისწინებული პირობების დაცვით, სხვა პროგრამაზე მობილობის განხორციელების გზით.
20.6. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და კოლეჯისათვის ავტორიზაციაზე უარის თქმის ან ავტორიზაციის გაუქმების, ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების დაკარგვის შემთხვევაში კოლეჯში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიულის სტუდენტები, მათ შორის ისინი, ვისაც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე უკვე შეჩერებული ჰქონდათ პროფესიული სტუდენტის სტატუსი, უფლებამოსილნი არიან ისარგებლონ მობილობის უფლებით ავტორიზაციის საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 5 წლის განმავლობაში.
20.7. დაწესებულების ავტორიზაციის ვადის გასვლით კოლეჯის მიერ პროგრამის განხორციელების უფლების დაკარგვის, ასევე დაწესებულების უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე ლიკვიდაციის შემთხვევაში ამ დაწესებულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები, მათ შორის, ისინი, ვისაც ავტორიზაციის ვადის გასვლამდე ან კოლეჯის უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე ლიკვიდაციამდე უკვე შეჩერებული ჰქონდათ პროფესიული სტუდენტის სტატუსი, უფლებამოსილნი არიან ისარგებლონ მობილობის უფლებით ავტორიზაციის ვადის გასვლიდან/ლიკვიდაციიდან 5 წლის განმავლობაში.
„სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ ერთი და იმავე დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროგრამის ფარგლებში.

20.8. პროფესიული სტუდენტის მობილობა ხორციელდება შესაბამისი პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში, გარდა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ ბრძანება №198/ნ (2019 წლის 20 სექტემბერი) პროფესიული სტუდენტის მობილობის წესის მეორე მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, როდესაც დასაშვებია ზღვრული რაოდენობის გადაჭარბება არაუმეტეს 25 %-ით. ამ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება შესაბამის პროგრამაზე მომდევნო მიღებისათვის დაწესებულების მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.

21. მუხლი - პროფესიული სტუდენტის გარე მობილობა

21.1. გარე მობილობის უფლება აქვს პირს, რომელმაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი მოიპოვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და რომელიც მობილობის განხორციელების მომენტისთვის არის ამ დაწესებულების პროფესიული სტუდენტი;

21.2. მობილობის უფლება ასევე აქვს პირს, რომელსაც მობილობის განხორციელების მომენტისთვის შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი;

21.3. სურვილის შემთხვევაში, კოლეჯი ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა გადასვლას სხვა სასწავლებელში მობილობის წესით, რისთვისაც პროფესიული სტუდენტი, ხოლო არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში, მისი კანონიერი წარმომადგენელი შესაბამისი განცხადებით მიმართავს კოლეჯის დირექტორს;

21.4. კოლეჯის ადმინისტრაცია ვალდებულია გონივრულ ვადებში, მაგრამ არაუგვიანეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ვადისა, პროფესიულ სტუდენტს მისცეს პირადი საქმის ასლი;

21.5. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების საფუძველზე ის დაწესებულება, საიდანაც გადადის პროფესიული სტუდენტი, ხოლო შიდა მობილობის შემთხვევაში ის დაწესებულება, რომლის ერთი პროგრამიდან სხვა პროგრამაზეც გადადის პროფესიული სტუდენტი, გამოსცემს სამართლებრივ აქტს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე და ინფორმაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით ასახავს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

21.6. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში მონაცემები შეიტანება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 17 თებერვალის პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ მოთხოვნების შესაბამისად.

22. მუხლი - პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვა სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მობილობის წესით

22.1. პროფესიული სტუდენტის მობილობა ხორციელდება შესაბამისი პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში;

22.2. გარე მობილობით ჩარიცხვის უფლების მოპოვების მიზნით პროფესიული სტუდენტი, ხოლო არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს მიმღებ დაწესებულებას, ხოლო შიდა მობილობით ჩარიცხვის უფლების მოპოვების მიზნით პროფესიული სტუდენტი, ხოლო არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს იმავე დაწესებულებას. განცხადებაში უნდა აღინიშნოს იმ პროგრამის სახელწოდება, რომელზეც პირს სურს გადასვლა.

22.3. დაწესებულება უფლებამოსილია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან დამატებით მოიპოვოს ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის სტატუსის, არსებობის შემთხვევაში სტატუსის შეჩერების საფუძვლების და მის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შესახებ.

22.4. დაწესებულება უფლებამოსილია უარი განაცხადოს პირის მობილობით ჩარიცხვაზე, თუ:

ა) დაწესებულებას არ აქვს ვაკანტური ადგილები პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში;

ბ) დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს მობილობის მსურველი პირის შემდგომ განათლებას მიმღები პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით;

გ) მობილობის მსურველი ვერ აკმაყოფილებს დაწესებულების მიერ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის დადგენილ წინაპირობებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

22.5. მობილობის მსურველი პირის განცხადების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება პირის ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ ხდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებში.

22.6. დაწესებულება ადგენს მის მიერ შეთავაზებულ პროგრამასთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას საქართველოს კანონმდებლობითა და დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტით დადგენილი წესის შესაბამისად.

22.7. აღიარებას წინ უსწრებს დაწესებულების დასაბუთებული გადაწყვეტილება, რომელშიც მიეთითება მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა მიმღები, ხოლო შიდა მობილობის შემთხვევაში იმავე დაწესებულების სხვა პროგრამასთან, ასევე აღიარებული სწავლის შედეგები და კრედიტების რაოდენობა.

22.8. საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება ვალდებულია პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით შეადგინოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

22.9. დაწესებულება, ამ წესით გათვალისწინებული პირობებისა და მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის თანხმობის საფუძველზე, გამოსცემს სამართლებრივ აქტს პროფესიული სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის თაობაზე და ინფორმაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით ასახავს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სისტემის მონაცემების საფუძველზე ის დაწესებულება, საიდანაც გადადის პროფესიული სტუდენტი, ხოლო შიდა მობილობის შემთხვევაში ის დაწესებულება, რომლის ერთი პროგრამიდან სხვა პროგრამაზეც გადადის პროფესიული სტუდენტი, გამოსცემს სამართლებრივ აქტს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე და ინფორმაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით ასახავს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

23. მუხლი - შიდა მობილობა

23.1. შიდა მობილობის უფლება აქვს პირს, რომელმაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი მოიპოვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და რომელიც მობილობის განხორციელების მომენტისთვის არის კოლეჯის პროფესიული სტუდენტი.

23.2. შიდა მობილობის უფლება ასევე აქვს პირს, რომელსაც მობილობის განხორციელების მომენტისთვის შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი;

23.3. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს შიდა მობილობით, რაც გულისხმობს კოლეჯის მიერ განხორციელებული ერთი პროგრამიდან სხვა პროგრამაზე გადასვლას;

23.4. კოლეჯი უფლებამოსილია დირექტორის ბრძანებით განსაზღვროს შიდა მობილობის ვადები;

23.5. შიდა მობილობა დასაშვებია, თუ პროფესიული სტუდენტი აკმაყოფილებს პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას;

23.6. შიდა მობილობა დასაშვებია პროგრამისათვის განსაზღვრული კვოტის ფარგლებში არსებულ თავისუფალ ადგილებზე;

23.7. შიდა მობილობის სურვილის შესახებ პროფესიული სტუდენტი, ხოლო არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში, მისი კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს კოლეჯის დირექტორს, სადაც მიუთითებს თუ რომელ პროგრამაზე სურს გადასვლა შიდა მობილობის წესით;

23.8. მობილობის მსურველი პირის განცხადების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება პირის ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ ხდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებში;

23.9. მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის დადგენის მიზნით შექმნილი კომისიის დასკვნისა და მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის თანხმობის საფუძველზე, მობილობით პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ გამოიცემა დირექტორის ბრძანება და მონაცემები

აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში კანონმდებლობით მიერ დადგენილი წესით.

24. მუხლი - მობილობის უფლების შეზღუდვა

24.1. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ (დანართი №1) იმავე ან ქვედა დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

24.2. მობილობის უფლება პროფესიულ სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ პროგრამაზე, რომელზე დაშვების წინაპირობასაც ის აკმაყოფილებს.

24.3. კოლეჯი უფლებამოსილია უარი განაცხადოს პირის მობილობით ჩარიცხვაზე, თუ:

ა) დაწესებულებას არ აქვს ვაკანტური ადგილები პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში;

ბ) მობილობის მსურველი პირი ვერ აკმაყოფილებს დაწესებულების მიერ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის დადგენილ წინაპირობებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

თავი 5. პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული განათლების აღიარება

25. მუხლი - მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება

25.1. წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის მობილობად განიხილა როორც შიდა, ისე გარე მობილობა;

25.2. მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის დადგენის მიზნით კოლეჯის დირექტორი ბრძანებით ქმნის კომისიას, მობილობის მსურველი პირის განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა;

25.3. მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის დადგენის მიზნით შექმნილი კომისიის შემადგენლობაში სავალდებულოდ შედიან: იმ პროგრამის ხელმძღვანელი, რომელზეც სურს გადასვლა მობილობის მსურველს პირს, კოლეჯის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, პროფესიული განათლების მასწავლებელი, სხვა პირების კოლეჯის დირექტორის გადაწყვეტილებით;

25.4. კომისია იხილავს პირის განცხადებას და თანდართულ დოკუმენტაციას მობილობის წესით ჩარიცხვის თაობაზე და წერს დასკვნას პროფესიული სტუდენტის მიერ შერჩეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობებთან მობილობის მსურველი პირის დოკუმენტების შესაბამისობისა და მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის თაობაზე;

25.5. ამ მუხლის მეოთხე პუნქტის მიხედვით, კომისიის დასკვნა წარედგინება კოლეჯის დირექტორს ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ ვადებში, ხოლო დოკუმენტის ასლი მიეწოდება მობილობის მსურველ პირს კოლეჯის საქმისწარმოების წესის შესაბამისად;

25.6. მობილობის დროს, მოდულის სწავლის შედეგების მიღწევის სრულად დადასტურების შემთხვევაში სტუდენტს მიენიჭება შესაბამისი კრედიტი, მიმღები პროგრამით ამ მოდულისათვის გათვალისწინებული კრედიტების ოდენობით;

25.7. მობილობის დროს, ცალკეული სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების შემთხვევაში, თუ მათი ერთობლიობა არ ქმნის სრულ მოდულს, პროფესიულ სტუდენტს კრედიტი ჩაეთვლება მოდულის დაუდასტურებელი სწავლის შედეგების დადასტურების შემდეგ.

26. მუხლი - მობილობის უფლების შეზღუდვა

26.1. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ (დანართი №1) იმავე ან ქვედა

დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

26.2. მობილობის უფლება პროფესიულ სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ პროგრამაზე, რომელზე დაშვების წინაპირობასაც ის აკმაყოფილებს.

26.3. კოლეჯი უფლებამოსილია უარი განაცხადოს პირის მობილობით ჩარიცხვაზე, თუ:

ა) დაწესებულებას არ აქვს ვაკანტური ადგილები პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში;

ბ) მობილობის მსურველი პირი ვერ აკმაყოფილებს დაწესებულების მიერ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის დადგენილ წინაპირობებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

27. მუხლი - მსგავს ან სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენისას პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება

27.1. მსგავს ან სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენისას პროფესიული სტუდენტის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის დადგენის მიზნით კოლეჯის დირექტორი ბრძანებით ქმნის კომისიას, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის მსურველი პირის განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა;

27.2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის დადგენის მიზნით შექმნილი კომისიის შემადგენლობაში სავალდებულოდ შედიან: იმ პროგრამის ხელმძღვანელი, რომელზეც სურს სტატუსის აღდგენა პირს, კოლეჯის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, პროფესიული განათლების მასწავლებელი, სხვა პირების კოლეჯის დირექტორის გადაწყვეტილებით;

27.3. კომისია იხილავს პირის განცხადებას და თანდართულ დოკუმენტაციას სხვა პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის თაობაზე და წერს დასკვნას პროფესიული სტუდენტის მიერ შერჩეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობებთან პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის მსურველი პირის დოკუმენტების შესაბამისობისა და ამ პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის თაობაზე;

27.4. ამ მუხლის მესამე პუნქტის მიხედვით, კომისიის დასკვნა წარედგინება კოლეჯის დირექტორს ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ ვადებში, ხოლო დოკუმენტის ასლი მიეწოდება სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის მსურველ პირს კოლეჯის საქმისწარმოების წესის შესაბამისად;

27.5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის დროს, მოდულის სწავლის შედეგების მიღწევის სრულად დადასტურების შემთხვევაში სტუდენტს მიენიჭება შესაბამისი კრედიტი, მიმღები პროგრამით ამ მოდულისათვის გათვალისწინებული კრედიტების ოდენობით;

27.6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის დროს, ცალკეული სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების შემთხვევაში, თუ მათი ერთობლიობა არ ქმნის სრულ მოდულს, პროფესიულ სტუდენტს კრედიტი ჩაეთვლება მოდულის დაუდასტურებელი სწავლის შედეგების დადასტურების შემდეგ.

28. მუხლი - დამატებითი სასწავლო წელი

28.1. პროფესიულ სტუდენტს, რომელმაც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადებში ვერ დააგროვა პროგრამის შესაბამისი კრედიტები და არ მიენიჭა შესაბამისი კვალიფიკაცია,უფლება აქვს დაასრულოს პროგრამა მომდევნო სასწავლო წლის განმავლობაში, რა მიზნითაც ამ პროგრამაზე კვალიფიკაციის მინიჭებიდან ორი კვირის ვადაში განცხადებით მიმართავს კოლეჯს.

28.2. დამატებითი სასწავლო წლის პროფესიულ სტუდენტს სწავლის საფასური განესაზღვრება შესასწავლი მოდულების კრედიტების მოცულობის შესაბამისად.

28.3. დამატებით სასწავლო წელს, სწავლის საფასური განისაზღვრება განფასებული მოდულ(ებ)ის

მიხედვით.

28.4. პროფესიულ სტუდენტს, რომელიც დამატებითი სასწავლო წლისთვის გათვალისწინებულ ვადებშიც ვერ დააგროვებს შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებისთვის საჭირო კრედიტებს უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

29. მუხლი - პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა

29.1. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში, აგრეთვე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში კოლეჯი კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტს უზრუნველყოფს შემდგომი განათლებით და მას ამისათვის სთავაზობს ალტერნატიულ ვარიანტებს:

29.1.1. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში კოლეჯი უფლებამოსილია შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტს სწავლა დაასრულებინოს და მიანიჭოს ამ პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია;

29.1.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში, კოლეჯი პროფესიულ სტუდენტს სთავაზობს დაასრულოს სწავლა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზედაც სწავლობს, ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით;

29.1.3. არარენტაბელური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში კოლეჯი პროფესიულ სტუდენტს სთავაზობს მისი ინტერესებიდან გამომდინარე ისარგებლოს შიდა ან გარე მობილობით ან შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტს სწავლა დაასრულებინოს და მიანიჭოს ამ პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია;

29.2. საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების, აგრეთვე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან არარენტაბელური პროფესიული საგანმნათლებლო პროგრამის შემთხვევაში, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ორგანიზებით ხდება შეხვედრა პროფესიულ სტუდენტებთან და მათ მიეწოდებათ ინფორმაცია, განმარტება ამ მუხლის **29.1 - 29.3 - ის** პუნქტებით გათვალისწინებული უფლებების შესახებ, პროფესიული სტუდენტები ადასტურებენ წერილობითი ფორმით (მატერიალური ან ელექტრონული) თავიანთ არჩევანს პროგრამის შეცვლის ან არჩეული პროგრამით დასრულების შესახებ.

29.3. თუ კოლეჯი ლიკვიდირებული იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე ან დაკარგა პროგრამის განხორციელების უფლება ან საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, პროფესიულ სტუდენტს შეუჩერდება სტატუსი და იგი უფლებამოსილია ისარგებლოს გარე მობილობით, რაშიც დახმარებას გაუწევს კოლეჯი.

29.4. კანონმდებლობით, ან კანონქვემდებარე აქტების მოთხოვნით განხორციელებული ცვლილებების შემთხვევაში კოლეჯი ხელმძღვანელობს ცვლილებასთან დაკავშირებული რეკომენდაციებით განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან, ან/და კანონით/კანონქვემდებარე აქტით განსაზღვრული მითითებებით.

30. მუხლი - ინკლუზიური განათლება

30.1. ინკლუზიური განათლებით სწავლების შემთხვევაში კოლეჯი ერგება ნებისმიერი საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს კულტურით, სასწავლო გარემოთი, წესებით, სასწავლო გეგმით, მეთოდებით, პროფესიული მასწავლებლებით.

30.2. სასწავლო პროცესის დაწყებამდე კოლეჯი აანალიზებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შესახებ არსებულ ინფორმაციას.

30.3. კოლეჯის დირექტორის ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით იქმნება ინკლუზიური პროფესიული განათლების ჯგუფი, რომელიც ვალდებულია კოლეჯი მოამზადოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მისაღებად და საჭიროების შემთხვევაში მოარგოს ფიზიკური გარემო, მოაგვაროს ტრანსპორტირების, თარჯიმნის, მობილობის სპეციალისტისა თუ სხვათა მომსახურების მიღების საკითხები. მოამზადოს სასწავლო მასალა შესაბამისი ფორმით (აუდიოჩანაწერები, ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი მასალა, თვალსაჩინოებები და ა. შ.).

30.4. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისათვის/მსმენელისათვის, სწავლის პროცესის მასზე მორგების მიზნით, კონკრეტული მოდულის ათვისებისათვის კოლეჯი შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.

30.5. დასაშვებია, იმდენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რამდენ მოდულშიც გამოვლინდება სწავლასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სირთულეები. ზოგ შემთხვევაში, შესაძლოა, პროფესიული სტუდენტი ყველა მოდულს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სწავლობდეს, ზოგ შემთხვევაში კი, სავსებით დასაშვებია, რომ პროფესიულ სტუდენტს მხოლოდ ერთი ან რამდენიმე მოდულის ფარგლებში დასჭირდეს სასწავლო გეგმის დაზუსტება.

30.6. კოლეჯი თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის საჭიროებიდან გამომდინარე ახდენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ცვლილებას/ადაპტაციას. ადაპტაციის ძირითადი მიმართულებებია: სასწავლო გეგმის აკომოდაცია, სასწავლო გეგმის მოდიფიკაცია, სასწავლო გეგმაში ფუნქციური და ალტერნატიული მიზნების დამატება.

30.7. **აკომოდაცია** - პროფესიული მოდულით გათვალისწინებული სასწავლო გარემოს და პირობების ცვლილება, სასწავლო მიზნებში ცვლილების შეტანის გარეშე. ის იძლევა საშუალებას, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტმა მიაღწიოს პროფესიული მოდულით განსაზღვრულ შედეგებს, მათი შინაარსისა და სირთულის დონის შეცვლის გარეშე (ინსტრუქციის აკომოდაცია,შეფასების აკომოდაცია,გარემო პირობების აკომოდაცია,დროის გრაფიკის აკომოდაცია).

30.8. **მოდიფიკაცია** - პროფესიული მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების, შესრულების კრიტერიუმებისა და კომპეტენციის პარამეტრების რაოდენობრივი ან თვისებრივი ცვლილება. ადაპტაციის ეს ფორმა, შესაძლოა, გულისხმობდეს კონკრეტული პროფესიული სტუდენტისთვის მოდულის მოთხოვნების დაზუსტებას, რასაც შეიძლება პროფესიული სტუდენტის მხრიდან მოდულით განსაზღვრული მიზნების არასრული მიღწევა მოჰყვეს. ამიტომ, სასწავლო მოდულის მოდიფიკაციისას მნიშვნელოვანია პროფესიული სტუდენტის ან/და მისი კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება, რომ ასეთ შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტმა, ამ ეტაპზე, შეიძლება სრული პროფესიული კვალიფიკაცია ვერ მიიღოს.

30.9. სასწავლო გეგმაში ფუნქციური და ალტერნატიული მიზნების დამატება - პროფესიული განათლების მიღების პროცესში პროფესიული სტუდენტისთვის შეიქმნას ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელშიც მკაფიოდ ჩამოყალიბდება ის წინაპროფესიული უნარ-ჩვევები, რომელთა გამომუშავებაც მნიშვნელოვანია დასაქმებისა და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის.

30.10. პროფესიულ სტუდენტს სასწავლო პროცესში, სხვადასხვა დროს, შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის ადაპტაცია დასჭირდეს: მხოლოდ აკომოდაცია ან აკომოდაცია მოდიფიკაციასთან ერთად. შესაბამისად, მნიშვნელოვანია დროის სხვადასხვა მონაკვეთში, მოდულის სპეციფიკიდან გამომდინარე, აკომოდაციისა და მოდიფიკაციების ცვლილება და მონაცვლეობა.

30.11. კოლეჯში ინკლუზიური პროფესიული განათლების პროცესში ჩართული ჯგუფის წევრების მოვალეობებია:

ა) სწავლის პროცესში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის/მსმენელის დახმარება შენობაში გადაადგილებისას;

ბ) მხარდაჭერა სველი წერტილის გამოყენებისას;

გ) უსინათლო სტუდენტისთვის/მსმენელისთვის კოლეჯის შენობაში/პრაქტიკის ობიექტზე ორიენტირების სწავლება;

დ) სმენის არმქონე პროფესიული სტუდენტისთვის/მსმენელისთვის ჟესტურ ენაზე სასწავლო პროცესი, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკის ნაწილის თარგმნა;

ე) პროფესიული სტუდენტის/მსმენელის საჭიროებაზე მორგებული საგანმანათლებლო რესურსით უზრუნველყოფა;

ვ) საჭიროებიდან გამომდინარე სხვა მოვალეობები.

30.12. შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები

ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია შესაბამისი პროგრამით.

30.13. კოლეჯი თავისი შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოფს შესაბამის ღონისძიებებს: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ინფორმირებული და აქტიურად ჩაბმული იქნება თავისი ზრდასრული ცხოვრების დაგეგმვის პროცესში, მიიღებს პროფესიულ განათლებას მისთვის შესაფერისი ტემპითა და სტილით, შესაძლებლობის ფარგლებში მიაღწევს პროფესიით განსაზღვრულ სასწავლო შედეგებს.საბოლოოდ დასაქმდება, რაც ხელს შეუწყობს უკვე არსებული დონის გაუმჯობესებას,საზოგადოებაში ინტეგრირებას და დამოუკიდებელ ცხოვრებას.

31. მუხლი - პროფესიულ სტუდენტთა /მსმენელთა მატერიალურ-ტექნიკური სერვისებით უზრუნველყოფა

31.1. დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტებს სხვადასხვა მატერიალურ-ტექნიკური სერვისებით, რაც გულისხმობს:

- უსაფრთხო და დაცულ საგანმანათლებლო სივრცეს/გარემოს;
- ექსტრაკურიკულური აქტივობების განხორციელების/რეკრეაციული ადგილების არსებობას;
- სტუდენტთა ჯგუფური მუშაობისთვის სივრცეების არსებობას;
- 24-საათიან განათებას;
- შენობის ნორმალური ტემპერატურით უზრუნველყოფას სეზონების მიხედვით;
- ნათელ, ვრცელ საგანმანათლებლო პროგრამების სასჭიროების შესაბამისად აღჭურვილ აუდიტორიებს;
- ბიბლიოთეკას, უზრუნველყოფილს ბეჭდური და ელექტრონული რესურსებით, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზით;
- ადაპტირებულ გარემოს შშმ პირთათვის;
- პირველად გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას;
- სანიტარულ -ჰიგიენური ნორმების დაცვას;
- მოწესრიგებულ სველ წერტილებს, წყლის უწყვეტი მიწოდებით;

31.2. დაწესებულება სისტემატურად ზრუნავს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გაუმჯობესებასა და გამრავალფეროვნებაზე.

31.3. კოლეჯის საქმიანობისათვის საჭირო ინვენტარის, მასალებისა და ნედლეულის შესყიდვა, შენახვა და გამოყენების წესები გაწერილია „მატერიალური რესურსების განკარგვის წესში„.

32. მუხლი - პირის მიერ ფორმალური განათლების ფარგლებში მიღებული სწავლის შედეგების აღიარების პრინციპები

32.1. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების (შემდგომში– ფორმალური განათლების აღიარება) მიზანია მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა, რაც გამოიხატება სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატით, უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით – დიპლომით ან ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით დადასტურებული სწავლის შედეგების აღიარებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის.

32.2. ფორმალური განათლების აღიარებას ახდენს კოლეჯი მიმდინარე მუხლში მითითებული მოთხოვნების საფუძველზე.

32.3. ფორმალური განათლების აღიარება დასაშვებია, თუ:

32.3.1. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული და მიღწეული სწავლის შედეგები ერთნაირადაა ფორმულირებული ან ფორმულირებაში არსებობს მცირედი განსხვავება,

რომელიც გამოწვეულია ენობრივი თავისებურებით ან/და სწავლის შედეგების განსხვავებული დასახელებით და ხელს არ უშლის მათ იდენტურად მიჩნევას. ამასთან, სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერის გათვალისწინებით ერთმანეთთან თავსებადია;

32.3.2. მიღწეული სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერის გათვალისწინებით აღემატება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს;

32.4. ფორმალური განათლების აღიარების მსურველი (შემდგომში – განმცხადებელი) უფლებამოსილია, მოითხოვოს ფორმალური განათლების აღიარება, მხოლოდ მის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ.

32.5. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ვადა შეადგენს ერთ თვეს განცხადების წარმოებაში მიღებიდან.

32.6. ფორმალური განათლების აღიარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

32.6.1. კოლეჯისათვის დირექტორის სახელზე განცხადების წარდგენა, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

32.6.1.1. კოლეჯის დასახელებას;

32.6.1.2. განმცხადებლის სახელსა და გვარს, ფაქტობრივ და იურიდიულ მისამართს;

32.6.1.3. განმცხადებლის ელექტრონული ფოსტის მისამართს;

32.6.1.4. განმცხადებლის ტელეფონის ნომერს;

32.6.1.5. განცხადების შევსების ადგილსა და თარიღს;

32.6.1.6. მოთხოვნას, კერძოდ, მითითებას იმ სწავლის შედეგზე/შედეგებზე, რომლის აღიარებასაც ითხოვს განმცხადებელი;

32.6.1.7. განმცხადებლის ხელმოწერას;

32.6.1.8. განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას.

32.6.2. განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს:

32.6.2.1. განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; თუ აღიარების მსურველი წარმოდგენილია წარმომადგენლით, უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

32.6.2.2. ფორმალური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

ა) სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი და მისი დანართი, ასეთის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

ბ) უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი – დიპლომი და მისი დანართი;

გ) ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი;

დ) ნოტარიულად დამოწმებული ასლი, ან ცნობა, რომელიც ადასტურებს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეულ კონკრეტულ სწავლის შედეგებს.

32.7. კოლეჯი განმცხადებელს არ მოსთხოვს ამ მუხლის 32.6. გათვალისწინებულ დოკუმენტაციას იმ სწავლის შედეგების აღიარების ნაწილში, რომელიც მიღწეული იქნა კოლეჯ ცხუმ-ეგრისის მიერ განხორციელებული ფორმალური განათლების ფარგლებში.

32.8. კოლეჯის დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიქმნება ფორმალური განათლების აღიარების კომისია, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება შემდეგი წევრებისაგან: სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის წარმომადგენელი, შესაბამისი დარგის სპეციალისტი, პროფესიული მასწავლებელი, საჭიროებიდან გამომდინარე შეიძლება მოწვეული იყოს დამატებითი წევრი/წევრები.

32.9. ფორმალური განათლების აღიარების კომისია ამოწმებს განცხადების შესაბამისობას ამ მუხლის 32.6. პუნქტის მოთხოვნებთან. თუ განმცხადებელი კოლეჯს არ წარუდგენს საქმის გადაწყვეტილებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელიმე დოკუმენტს, კოლეჯი განმცხადებელს განუსაზღვრავს მაქსიმუმ 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღეს. განმცხადებელი ვალდებულია წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია აღნიშნულ ვადაში.

32.10. ფორმალური განათლების აღიარების კომისიის მიერ ხდება განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის განხილვა/შეფასება და მიღებული გადაწყვეტილების ოქმში ასახვა.

32.11. ფორმალური განათლების აღიარების კომისია წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას:

32.11.1. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის/შედეგების აღიარების შესახებ;

32.11.2. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის/შედეგების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ.

32.12. ფორმალური განათლების აღიარების კომისიის გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული. მასში მითითებული უნდა იყოს ის სწავლის შედეგი/შედეგები, რომელთა აღიარებაც განხორციელდა ან რომელთა აღიარებაზეც განმცხადებელს ეთქვა უარი.

32.13. ფორმალური განათლების აღიარების კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე კოლეჯის დირექტორის მიერ გამოიცემა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელშიც მითითებული იქნება:

32.13.1. კოლეჯის დასახელება;

32.13.2. განმცხადებლის ვინაობა;

32.13.3. იმ საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის/სასწავლო კურსის სახელწოდება, რომლის სწავლის შედეგები უღიარდა/სწავლის შედეგები არ უღიარდა პირს;

32.13.4. აღიარებული კრედიტების რაოდენობა;

32.13.5. გადაწყვეტილების მიღების თარიღი და ადგილი;

32.13.6. გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი და ვადა.

32.14. კოლეჯი ვალდებულია, გადაწყვეტილება განმცხადებელს აცნობოს კოლეჯის დირექტორის მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში. გადაწყვეტილებას განმცხადებელს აცნობებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის წარმომადგენელი ელ-ფოსტის ან სატელეფონო შეტყობინებით.

32.15. ფორმალური განათლების აღიარების შედეგები და წარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტები აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში.

თავი 6. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება

33. მუხლი - კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების სისტემა

33.1. პროფესიულ პროგრამებში გამოიყენება კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება, რაც გულისხმობს პროფესიული სტუდენტის მიერ ცოდნის, უნარების და პრაქტიკული გამოცდილების გამოყენების შესაძლებლობის შეფასებას, მოდულით/პროგრამით წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.

33.2. მოდულის/პროგრამის შესაბამისი კრედიტის მისაღებად დადებითად უნდა შეფასდეს მოდულით/პროგრამით მისაღწევი სწავლის ყველა შედეგი.

33.3. შესაძლებელია სწავლის შედეგების როგორც ცალკეულად,ისე რამდენიმე შედეგის ერთდროულად ან მთლიანი მოდულის/პროგრამის დადასტურება.

33.4. პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა უნდა იყოს ვალიდური, სანდო, ობიექტური/სამართლიანი, გამჭვირვალე.

34. მუხლი - კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების მიდგომები და სახეები

34.1. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასებისთვის გამოიყენება ორი სახის შეფასება: განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

34.2. განმავითარებელი შეფასება სწავლის პროცესის შეფასებაა, რომელიც აკონტროლებს პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას და მისი მიზანია პროფესიული სტუდენტის დახმარება უკუკავშირის მიწოდების გზით.

34.3. განმსაზღვრელი შეფასება ემსახურება მიღწეული სწავლის შედეგის / შედეგების ერთობლიობას განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

34.4. განმსაზღვრელი შეფასება დასტურდება შესაბამისი შეფასების მტკიცებულებ(ებ)ით: განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტები და განმსაზღვრელი შეფასების უწყისები.

35. მუხლი - კომპეტენციებზე დაფუძნებული განმსაზღვრელი შეფასების მიმართულებები

35.1. კომპეტენციებზე დაფუძნებული განმსაზღვრელი შეფასების მიმართულებებია: გამოკითხვა, პრაქტიკული დავალება დაკვირვებით (პროცესზე დაკვირვება), პრაქტიკული დავალება.

35.2. გამოკითხვა - ეს მიმართულება ძირითადად კოგნიტური, კრეატიული, ანალიტიკური უნარების შესაფასებლად გამოიყენება. გამოკითხვა შეიძლება განხორციელდეს როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით. ის აერთიანებს ყველა მიდგომას, რომელთა ფარგლებშიც შესაძლებელია აკადემიური უნარების შეფასება. წერილობითი შეფასების მტკიცებულებად შეიძლება წარმოდგენილი იყოს შესაფასებელი პირის მიერ შევსებული ტესტი, ზეპირი გამოკითხვისას კი შემფასებელი პირის მიერ შევსებული შეფასების ფურცელი;

35.3. ზეპირი შეფასების დროს უნდა განხორციელდეს ჩატარებული შეფასების პროცესის ვიდეოგადაღება, ან შეფასების პროცესს უნდა დაესწროს დამკვირვებელი - დარგის სპეციალისტი. რომელიც არ მონაწილეობს უშუალოდ შეფასებაში, არამედ ახდენს პროცესის დაკვირვებას, რათა შეფასება იყოს ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე. დამკვირვებელი შეფასების პროცესზე დასწრებას ადასტურებს შეფასების ინსტრუმენტზე ფურცელზე ხელის მოწერით;

35.4. შეფასება დასაშვებია მხოლოდ ვალიდური შეფასების ინსტრუმენტით.

35.5. პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების პროცესის აუდიო ან ვიდეო ჩაწერა ან პირდაპირი ტრანსლირება ხორციელდება პროფესიული სტუდენტის თანხმობით; აუდიო ან ვიდეო ჩანაწერი წარმოადგენს შეფასების მტკიცებულებას, რომელიც შეიცავს პროფესიული სტუდენტის პერსონალურ მონაცემებს და მისი განკარგვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

35.6. პრაქტიკული დავალება დაკვირვებით - შემფასებელი აკვირდება შესაფასებელი პირის მუშაობას პრაქტიკული დავალების შესრულების პროცესში. დაკვირვება ხორციელდება სამუშაო ადგილზე, დაწესებულებაში არსებულ ლაბორატორიაში ან ნებისმიერ სხვა ადგილას, სადაც შესაფასებელი პირი პრაქტიკული დავალებას ახორციელებს. შემფასებელმა წინასწარ უნდა დაგეგმოს დაკვირვების პროცესი, იმის დასადგენად, თუ რამდენად სწორად იყენებს შესაფასებელი პირი ცოდნას, უნარებსა და ყველა რესურსს შედეგის მისაღწევად. პროცესზე დაკვირვების დროს მტკიცებულება შეიძლება წარმოდგენილი იყოს შეფასების სქემის, დაკვირვების ფურცლის, შესაფასებელი პირის საქმიანობის ამსახველი ვიდეოჩანაწერის ან სხვა საშუალებებით

35.7. პრაქტიკული დავალება გულისხმობს არა მარტო პროფესიული სტუდენტის მიერ შექმნილი „პროდუქტის“ შეფასებას, რომლის მტკიცებულებაც შეიძლება წარმოდგენილი იყოს შექმნილი მაკეტის, დეტალის ან პროფესიული სტუდენტის მიერ დამზადებული სხვა სახის არტეფაქტის სახით, არამედ „შედეგის“ შეფასებასაც, როგორიცაა პროფესიული სტუდენტის მიერ შექმნილი CV, შევსებული სპეციალური დანიშნულების დოკუმენტები, გამოწერილი რეცეპტი, შექმნილი პროექტი და ა.შ.

36. მუხლი - შუალედური შეფასება.

36.1. შუალედური შეფასება წარმოადგენს პროგრამის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმს. შუალედური შეფასება საშუალებას იძლევა, დავაკვირდეთ პროფესიული სტუდენტის პროგრესს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევასთან დაკავშირებით და დროულად უზრუნველვყოთ ჩარევა სწავლა-სწავლების პროცესში.

36.2. სწავლების შუალედურ ეტაპზე პროფესიული სტუდენტი აფასებს საკუთარ კომპეტენციას, როგორც თერიული ცოდნას ისე პრაქტიკული უნარ-ჩვევებს. ეს პროცესი პროფესიულ სტუდენტს პრაქტიკაში ეხმარება და უწყვეტი გადასინჯვის, შეფასებისა და გაუმჯობესებისათვის საჭირო ბაზას ქმნის.

36.3. შუალედური შეფასება ეხმარება პროგრამის განმახორციელებელ პირებს თვითშეფასებასა და სწავლების შეფასების მეთოდების განვითარებაში;

36.4. შუალედური შეფასების შედეგები შესაძლოა გახდეს საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების/ცვლილების ინიცირების საფუძველი.

36.5. შუალედურ შეფასებაზე მიღებული შეფასება მხოლოდ განმავითარებელი ხასიათისაა და არ აისახება საბოლოო გამოცდის შედეგზე;

36.6. შუალედური შეფასების შედეგად სასურველია შემუშავდეს რეკომენდაციები და რჩევები როგორც ცალკეული პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევასთან, პროგრამის განმახორციელებელი პირების, ისე პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებით. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ცალკეული მოდულის ფარგლებში განხორციელებული შეფასებისგან განსხვავებით, შუალედური შეფასება ერთიანობაში უყურებს შუალედური შეფასების მომენტისათვის პროფესიული სტუდენტის მიერ განვლილი მოდულების ფარგლებში მიღწეულ სწავლის შედეგებს.

36.7. შუალედური შეფასების მიზანს წარმოადგენს პროფესიული სტუდენტის პროგრესის დადგენა სწავლის შედეგების მიღწევასთან დაკავშირებით და მისთვის აღნიშნულზე განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა.

36.8. შუალედური შეფასების შედეგები არ შეიძლება გამოყენებულ იქნას სწავლის შედეგების დადასტურებისათვის, კრედიტის მინიჭებისათვის, ან სტუდენტის სტატუსის განსაზღვრისათვის/შეცვლისათვის.

36.9. შუალედურ შეფასებაზე დასწრება სავალდებულოა ყველა პროფესიული სტუდენტისათვის და წარმოადგენს საკვალიფიკაციო შეფასებაზე დაშვების/კვალიფიკაციის მინიჭების აუცილებელ წინაპირობას.

36.10. შუალედური გამოცდა უნდა ჩატარდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/საგანმანათლებლო პროგრამის სრული სასწავლო ვადის შუა პერიოდში. (მაგალითად: თუ პროგრამის ხანგრძლივობა არის 36 თვე, შუალედური გამოცდა უნდა ჩატარდეს მე-18 თვის დასრულების შემდეგ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, როდესაც პროფესიულ სტუდენტს გავლილი ექნება მოდულების შესაბამისი სწავლის შედეგების არანაკლებ 40% და არაუმეტეს 60%);

36.11. შუალედური შეფასების თარიღი და ფორმატი განისაზღვრება კონკრეტული ჯგუფისათვის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით არაუგვიანეს შეფასების ჩატარებამდე ერთი თვით ადრე;

36.12. შუალედური შეფასება გარდა პროფესიული სტუდენტის შეფასებისა ხელს შეუწყობს ზოგადად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის შეფასებასაც.

36.13. პროფესიული სტუდენტის ინფორმირება შუალედური შეფასების თარიღისა და ფორმატის შესახებ ხორციელდება დირექტორის მიერ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა;

36.14. შეფასების ინსტრუმენტი უნდა მოიცავდეს საკითხებს იმ პერიოდისათვის განვლილი მოდულებიდან;

36.15. შუალედური საგამოცდო ინსტრუმენტების შემუშავება უნდა მოხდეს კოლეჯის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

36.16. შუალედური შეფასების თემატიკა არ უნდა გასცდეს სტუდენტის მიერ შუალედური შეფასების ჩატარებამდე გავლილ სწავლის შედეგებს;

36.17. შუალედური შეფასება უნდა იძლეოდეს სტუდენტის მიერ მიღწეული კომპეტენციების ჰოლისტური შეფასების შესაძლებლობას;

36.18. პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, შუალედური შეფასებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას:

- კომპლექსური დავალება;
- პრაქტიკული დავალება;
- პრეზენტაცია;
- პორტფოლიოს პრეზენტაცია;
- დასრულებული ან მიმდინარე პროექტი;
- პროფესიული სტუდენტის მიერ საკუთარი სწავლის შედეგების ანალიზი თვითშეფასების
- ანგარიშის მომზადების გზით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით სხვა ტიპის
- დავალება/დავალებები.

- სხვა რელევანტური მეთოდები ან მათი კომბინაცია;

36.19. შუალედური შეფასების მიზნით გამოყენებული ინსტრუმენტი ექვემდებარება ვალიდაციას კოლეჯის მიერ დადგენილი წესით;

36.20. სტუდენტის მიერ შუალედური შეფასების დროს შექმნილი მტკიცებულება ინახება კოლეჯში სტუდენტისათვის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებამდე/კვალიფიკაციის მინიჭებამდე;

36.21. შუალედური შეფასების დროს აღინუსხება როგორც წარმატებები, ასევე ხარვეზები, რომლის გამოსასწორებლად პროფესიულ სტუდენტს მიეცემა რეკომენდაცია, რაც მას მიღწევების გაუმჯობესების საშუალებას მისცემს. შეფასება უნდა ემსახურებოდეს პროფ. სტუდენტთა თვითშეგნების ამაღლებას, განვითარებას და პიროვნებად ფორმირებას და არა სასწავლო პროცესში, „სიმკაცრის", ,,მომთხოვნელობის", დანერგვას. შუალედური შეფასების შედეგად მიღებული რეკომენდაციების დახმარებით პროფესიული სტუდენტები გაიუმჯობესებენ მიღწევებს, შემუშავებული კომპონენტები და კრიტერიუმები კი შემფასებლის სუბიექტურობას უნდა გამორიცხავდეს.

36.22. შეფასების კომისიის შემადგენლობა, კომისიის თავმჯდომარე და მდივანი განისაზღვრება დირექტორის ბრძანებით;

36.23. შუალედური შეფასების კომისია უნდა შედგებოდეს სულ მცირე სამი წევრისაგან, მასში უმეტესობას უნდა ქმნიდეს ის პირები, ვინც არ ღებულობდა მონაწილეობას შესაფასებელი სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში;

36.24. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა. დირექტორი უფლებამოსილია ფორს-მაჟორულ სიტუაციაში შუალედური შეფასების პროცესში ჩაანაცვლოს კომისიის წევრი;

36.25. კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა უმრავლესობით;

36.26. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა;

36.27. შუალედური შეფასების ფარგლებში შეიძლება გამოყენებულ იქნეს დიფერენცირებული (ქულობრივი) ან/და არადიფერენცირებული (დადასტურდა/ვერ დადასტურდა) შეფასება, თუმცა აუცილებელია, რომ შუალედური შეფასება განმავითარებელი უკუკავშირით დასრულდეს. აღნიშნული გულისხმობს კომენტარს/უკუკავშირს პროფესიული სტუდენტის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენის და სწავლის ხელშეწყობის მიზნით;

36.28. შუალედური შეფასების კომისიის შეფასება და რეკომენდაციები აისახება შესაბამის ოქმში;

36.29. შუალედური შეფასების შედეგების შესახებ სტუდენტებს მიეწოდება უკუკავშირი ინდივიდუალურად;

36.30. შუალედური შეფასების შედეგები შესაძლოა საფუძვლად დაედოს პროგრამაში ცვლილებების ინიცირებას;

36.31. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასებას, მატერიალური რესურსების შეფასებას, მარეგულირებელ აქტებში ცვლილებას ან საგანმანათლებლო სტანდარტებში ცვლილებების ინიცირებას, კოლეჯის კომპეტენციის ფარგლებში;

36.32. საპატიო მიზეზით შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის არმიღების შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია დადგენილი პირობებითა და წესით მონაწილეობა მიიღოს განმეორებით შუალედურ შეფასებაში;

36.33. არასაპატიო მიზეზით შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის არმიღება, ან განმეორებით შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის არმიღება, შესაძლოა გახდეს სტუდენტისათვის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი.

36.34. საპატიო მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს:

36.34.1. ჯანმრთელობის ან ოჯახური მდგომარეობა, რაც ხელს უშლის ძირითად ვადებში შეფასების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობას;

36.34.2. ფორსმაჟორული გარემოება;

36.35. განმეორებითი შეფასების ვადები განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის წარდგინებით და ეცნობება შესაფასებელ პირს შეფასების ვადის დადგომამდე არაუგვიანეს 7 დღით ადრე.

36.36. შუალედური შეფასების შედეგები არ ექვემდებარება გასაჩივრებას, ვინაიდან შუალედური შეფასება პროფესიული სტუდენტისთვის არ წარმოშობს არანაირ სამართლებრივ შედეგებს.

36.37. პროფესიული სტუდენტისთვის სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს მხოლოდ შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის მიუღებლობა.

36.38. კოლეჯმა ყველა პროფესიულ სტუდენტთან, რომლისთვისაც მოქმედი კანონმდებლობით სავალდებულოა შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა, გაფორმებულ ხელშეკრულებაში უნდა ასახოს პროფესიული სტუდენტის შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის ვალდებულება და მისი შეუსრულებლობის შესაძლო შედეგები.

36.39. გარე მობილობის შემთხვევაში, სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს ოფიციალური დოკუმენტი შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის ფაქტის შესახებ.

<u>შენიშვნა:</u> შუალედური შეფასების სავალდებულოობა (გარდა პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგარამა „საექთნო საქმისა“) გავრცელდეს 2024 წლის მიღების ფარგლებში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებზე.

37. მუხლი - განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება

37.1. განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტი უნდა შეირჩეს და შემუშავდეს შესაფასებელ შედეგში/მოდულში მითითებული შეფასების მიმართულების შესაბამისად.

37.2. სწავლის შედეგების შეფასებისთვის შესაბამისი ინსტრუმენტების შესამუშავებლად, პროფესიულმა მასწავლებელმა წინასწარ უნდა განსაზღვროს ის ცოდნა და უნარი, რომელიც პროფესიულ სტუდენტს უნდა ჰქონდეს მოდულით/პროგრამით მისაღწევი შედეგის მოთხოვნების შესაბამისად, რათა მან შესძლოს ასათვისებელი ცოდნისა და გაგების დემონსტრირება. შეფასების პროცესში არ უნდა იყოს შეტანილი მასალა, რომელიც პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს არ უსწავლიათ.

38. მუხლი - განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტის სტრუქტურა და შინაარსი

38.1. განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტი შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

ა) ზოგადი ნაწილი;

ბ) შინაარსობრივი ნაწილი.

38.2. ზოგად ნაწილი მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

ა) განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელთან შეთანხმების რეკვიზიტი;

ბ) კოლეჯის დასახელება;

გ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება;

დ) მოდულის სახელწოდება და რეგისტრაციის ნომერი;

ე) პროფესიული მასწავლებლის სახელი, გვარი;

ვ) პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი;

ზ) ჯგუფის ნომერი;

თ) განმსაზღვრელი შეფასების ჩატარების თარიღი;

ი) შესაფასებელი სწავლის შედეგები;

კ) შესრულების კრიტერიუმი/კრიტერიუმები;

ლ) შეფასების მიმართულება;

მ) შეფასების ინსტრუმენტი;

ო) შესასრულებელი დავალების შინაარსი/შესრულების ინსტრუქცია;

პ) დავალებების შესასრულებლად განსაზღვრული დრო;

ჟ) შეფასებისათვის საჭირო გარემო;

რ) ხარვეზების დასაშვები ნორმა/მინიმალური ხარისხი, შესრულებული სამუშაოს დადებითად შესაფასებლად;

ს) ინფორმაცია განმეორებითი შეფასების შესახებ;

ტ) სწავლის შედეგის მიღწევის დასადასტურებლად განსაზღვრული მტკიცებულება;

უ) შეფასების პროცესის დამატებითი პირობები, საჭიროების შემთხვევაში: სახელმძღვანელოებით, ლექსიკონით ან კალკულატორით სარგებლობა და სხვა;

ფ) ელექტორნული ფორმით განმსაზღვრელი შეფასების დროს: პროფესიული სტუდენტის ელ-ფოსტა და პირადი ნომერი.

38.3. შინაარსობრივი ნაწილი განსაზღვრავს:

ა) შეფასების ინსტრუმენტით განსაზღვრული სწავლის შედეგისთვის კითხვათა/დავალებათა შინაარსის დაფარვას;

ბ) შეფასების ინსტრუმენტით განსაზღვრული ყველა სწავლის შედეგის დადასტურებას;

გ) დასადასტურებლად კითხვათა/დავალებათა რაოდენობის საკმარისობას;

დ) დავალებების შესასრულებლად გამოყოფილი დროის საკმარისობას;

ე) შეფასების ინსტრუმენტში განსაზღვრული ხარვეზების დასაშვები ნორმა/შესრულების მინიმალური ხარისხის სისწორეს.

38.4. მოდულის/შედეგის დადასტურების რეკვიზიტები:

ა) აღნიშვნა: შედეგი/ დაადასტურა/ ვერ დაადასტურა.

ბ) პროფესიული მასწავლებლის ხელმოწერა;

გ) პროფესიული სტუდენტის ხელმოწერა;

დ) დამსწრე პირის (არსებობის შემთხვევაში) ხელმოწერა.

38.5. პროფესიული მომზადების ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამების განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტის სტრუქტურა და შინაარსი განისაზღვრება ამ მუხლის გათვალისწინებით.

39. მუხლი - განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები

39.1. მოდულის განხორციელების დაწყებამდე 10 (ათი) დღით ადრე, პროფესიული მასწავლებელი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელს წარუდგენს მოდულის შესაბამის განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტს და ხდება წარდგენილი შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური და შინაარსობრივი მხარის შემოწმება.

39.2. პროფესიული მასწავლებლის მიერ შემუშავებულ განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტს ითანხმებს/ვალიდაციას ახორციელებს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, რომელიც უფლებამოსილია ამ პროცესში ჩართოს დარგის სპეციალისტი, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინებით.

39.3. ხარვეზის შემთხვევაში განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტები რეკომენდაციებით/შენიშვნებით/მითითებებით უბრუნდება პროფესიულ მასწავლებელს, რომელიც ვალდებულია ორი სამუშაო დღის ვადაში წარადგინოს განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტი შესწორებული სახით.

39.4. შეთანხმებული შეფასების ინსტრუმენტი გამოიყენება შეფასების პროცესში.

39.5. ელექტრონული ფორმით დადასტურების დროს შეთანხმებული განმსაზღრელი შეფასების ინსტრუმენტი აიტვირთება ელექტორნულ/კომპიუტერულ პროგრამაში.

39.6. ერთხელ შეთანხმებული/ვალიდირებული განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტი ინახება კოლეჯის ინსტუმენტების ბანკში და იგი შეიძლება გამოყნებული იქნეს მრავალჯერადად (იგივე მოდულის სხვა პროფესიული მასწავლებლის მიერ).

39.7. საქთნო საქმის პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ფარგლებში, პროფესიული სტუდენტის კლინიკური და შემაჯამებელი კლინიკური მოდულების სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად, შესაძლებელია გამოყენებული იყოს შეფასების ფურცელი (ჩექლისტი) ან პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალი.

39.8. პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტს, პროფესიული მასწავლებელი შესათანხმებლად წარუდგენს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს.

40. მუხლი - განმსაზღვრელი შეფასების პროცესის განხორციელება

40.1. მოდულის განხორციელების დაწყებისას პროფესიული მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტს აცნობს შეფასების განხორციელების პროცესს.

40.2. განმსაზღველი შეფასების დაწყებამდე პროფესიული სტუდენტი ინფორმაციას იღებს განმსაზღრელი შეფასების ინსტრუმენტში მოცემულ დავალებასა და დავალების შესრულების ინსტრუქციაზე.

40.3. შეფასების პროცესის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, პროფესიული სტუდენტი ვალდებულია შეფასების პროცესზე გამოცხადდეს შეფასების დაწყების განსაზღვრულ დროს.

40.4. სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელთან და მოდულის განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებელთან ერთად განიხილავს იმ პროფესიულ სტუდენტთა საკითხს, რომლებიც საპატიო მიზეზის გამო ვერ გამოცხადდნენ განმსაზღვრელ შეფასებაზე და ნიშნავს დამატებით განმსაზღვრელ შეფასებას 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

40.5. დაუდასტურებელი მოდული/შედეგი, რომელიც არ არის სხვა მოდულზე/შედეგზე დაშვების წინაპირობა, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს შესაბამისი მოდული/ შედეგი დაადასტუროს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის და პროგრამის ხელმძღვანელების მიერ გონივრულ ვადაში დანიშნულ განმსაზღვრელ შეფასებაზე შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე.

40.6. თუ მოდული არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს ამ მოდულზე სწავლის დასრულებიდან 1 კვირის ვადაში განმეორებით დაადასტუროს შესაბამისი სწავლის შედეგი,ხოლო თუ მოდული არ იწყება 1 კვირაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოდულის დაწყებამდე ნებისმიერ დროს განმეორებით დაადასტუროს შესაბამისი სწავლის შედეგი.

40.7. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს წინაპირობიანი მოდულის დაწყების შემდგომაც, რომელზეც ის არ არის დაშვებული,მოითხოვოს იმ მოდულის განმეორებითი შეფასება, რომელიც წარმოადგენს სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობას. საჭიროების შემთხვევაში, დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა,რომლის შემუშავებაში პირს უფლება აქვს მიიღოს მონაწილეობა.

40.8. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მოდულის დასრულებამდე, დაუდასტურებელი სწავლის შედეგის დადასტურების თარიღი ზეპირსიტყვიერად შეათანხმოს პროფესიული განათლების მასწავლებელთან.

40.9. მოდულის დასრულებამდე ან/და მოდულის დასრულებიდან 1 კვირის ვადაში განმეორებითი შეფასების თარიღს პროფესიული განათლების მასწავლებელი ზეპირსიტყვიერად ათანხმებს დირექციასთან და პროფესიულ სტუდენტთან, ხოლო მოდულის დასრულებიდან 1 კვირის ვადის გასვლის შემდეგ განმეორებითი შეფასების მოთხოვნით პროფესიული სტუდენტი მიმართავს კოლეჯს, რის შემდეგაც ინიშნება განმეორებითი შეფასება.

40.10. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, მიღწევების გასაუმჯობესებლად პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს უფლება აქვს სხვადასხვა გზით მიიღოს კონსულტაცია, კერძოდ, უშუალოდ პროფესიული განათლების მასწავლებლისგან და ადმინისტრაციისგან, როგორც ფორმალურ სასწავლო პროცესში, ისე სასწავლო პროცესის მიღმა დამატებითი საათების განმავლობაში, ჯგუფური ან ინდივიდუალური აქტივობების განხორციელების გზით.

40.11. პროფესიულ მასწავლებელთან კონსულტაციის და განმეორებითი განმსაზღვრელი შეფასების თარიღს და დროს ნიშნავს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, პროფესიულ მასწავლებელთან და პროფესიულ სტუდენტთან შეთანხმებით.

40.12. განმეორებით შეფასებაზე იცვლება შეფასების ინსტრუმენტით მოცემული ტესტური დავალებათა თანმიმდევრობა, მიზანშეწონილია შეიცვალოს უკვე გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტით გათვალისწინებული კითხვები,კერძოდ. დახურული კითხვების მესამედი, ხოლო ღია კითხვები შესაძლებელია უცვლელი დარჩეს.

40.13. შეფასებისას პრაქტიკული დავალების ან პრაქტიკული დავალება დაკვირვებით გამოყენებისას,როდესაც პროფესიული სტუდენტი ვერ დაადასტურებს სწავლის შედეგს/შესრულების კრიტერიუმ(ებ)ს, შესაძლებელია განმეორებითი შეფასებისას გამოყენებული იყოს იგივე შეფასების ინსტრუმენტი.

40.14. სწავლის შედეგის ვერ დადასტურება, რომელიც გამოწვეულია არ გამოცხადებით, განმეორებითი შეფასებისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნას იგივე შეფასების ინსტრუმენტი.

40.15. განმეორებით შეფასებაზე გასვლის უფლება პირს ეძლევა ორჯერ, ორივეჯერ უარყოფითი შედეგების მიღების შემთხვევაში პროფესიული პროფესიულ სტუდენტი ვალდებულია ხელმეორედ გაიაროს მოდულის სწავლის შედეგ(ებ)ი.

40.16. განმსაზღვრელი შეფასების შედეგი, ინდივიდუალურად ეცნობება პროფესიულ სტუდენტს 3 სამუშაო დღის ვადაში.

40.17. დაუშვებელია ჯგუფში კონკრეტული პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შეფასების გასაჯაროვება, თუ ამაზე პროფესიულ სტუდენტს /მსმენელს არ აქვს გამოხატული თანხმობა (სიტყვიერად ან წერილობით). ასეთ შემთხვევაში მიზანშეწონილია შედეგების განზოგადოებულად განხილვა.

40.18. თუ პროფესიული სტუდენტი არ ეთანხმება განმსაზღვრელი შეფასების შედეგს, იგი უფლებამოსილია ისარგებლოს აპელაციის უფლებით.

40.19. მოდული/შედეგი, რომელზეც პროფესიულმა სტუდენტმა განმეორებით შეფასებაზე გასვლის უფლების გამოყენების შემდეგ მიიღო უარყოფითი შეფასება, მოცემულ მოდულზე პროფესიული სტუდენტისათვის დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და პროფესიული სტუდენტი დაჩქარებულ რეჟიმში (შესაბამისი წინაპირობიანი მოდულის დაწყებამდე) ხელახლა შეისწავლის მოცემულ მოდულს.

40.20. პროფესიული სტუდენტი წერილობითი განცხდებით მიმართავს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს, რომლის საფუძველზეც კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს პროფესიული სტუდენტის მიერ ინდივიდუალური გეგმით აღნიშნული მოდულის/სწავლის შედეგ(ებ)ის თავიდან გავლის შესახებ.

40.21. პროფესიული სტუდენტი, რომელიც ინდივიდუალური სასწავლო გეგმით ხელახლა გადის იმ მოდულს/შედეგს, რომლის ფარგლებშიც მიიღო უარყოფითი შეფასება, განმეორებით შეფასებაზე გასვლის უფლების გამოყენების შემდეგ, პარალელურად უფლება აქვს გაიაროს ის მოდული/ები, რომლისთვისაც/ებისთვისაც მოცემული მოდული არ წარმოადგენს დაშვების წინაპირობას.

40.22. შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამითგანსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში,ხოლო კვალიფიკაცია დირექტორის მიერ საკვალიფიკაციო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიული საგანმანათლებლოპროგრამით გათვალისწინებული კრედიტები.

40.23. მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის,რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზეს წავლება იწყება ქართული ენის მოდულები.

41. მუხლი - განმსაზღვრელი შეფასების შედეგებზე პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება

41.1. სწავლის შედეგის შეფასება პროფესიულ სტუდენტს ეცნობება ინდივიდუალურად 3 სამუშაო დღის ვადაში.

41.2. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია აპელაციის მიზნით, შედეგების გაცნობიდან იმავე დღეს ან მომდევნო სამუშაო დღეს გაასაჩივროს მიღებული შეფასება ან/და პროცედურული საკითხები და წერილობით მიმართოს სააპელაციო განაცხადით კოლეჯის დირექტორს.

41.3. კოლეჯის დირექტორი არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღეში ქმნის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით სააპელაციო კომისიას, რომლითაც განსაზღვრავს აპელაციის ჩატარების თარიღს და სააპელაციო კომისიის შემადგენლობას შემდეგი პირებით: სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის წარმომადგენელი, შესაბამისი დარგის/კომპეტენციის მქონე პროფესიული მასწავლებელი, რომელსაც არ მიუღია მონაწილეობა განმსაზღვრელი შეფასების/საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების პროცესში.

41.4. სააპელაციო კომისია არაუგვიანეს 1 (ერთი) სამუშაო დღეში განიხილავს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ შემოტანილ სააპელაციო განაცხადს და პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მტკიცებულებებს. სააპელაციო კომისიამ საჭიროებიდან გამომდინარე შეიძლება მოითხოვოს გასაუბრება იმ პროფესიულ მასწავლებელთან, რომლის შეფასების შედეგს არ ეთანხმება პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ხოლო საკვალიფიკაციო გამოცდის შემთხვევაში გამოცდის წევრებთან.

41.5. სააპელაციო კომისია იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას, პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შეფასება დატოვოს, შეცვალოს ან საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს განმეორებითი

განმსაზღვრელი შეფასების/საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარება 2 (ორი) სამუშაო დღეში, რომელიც აისახება ოქმში და მიღებული გადაწყვეტილება ეცნობება არაუგვიანეს 1 (ერთი) სამუშაო დღეში პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს და კოლეჯის დირექტორს.

41.6. განმეორებითი განმსაზღვრელი შეფასების/საკვალიფიკაციო გამოცდის (თეორიული ან/და პრაქტიკული) ჩატარების შემთხვევაში კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით განისაზღვრება განმეორებითი განმსაზღვრელი შეფასების/საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების ადგილი, თარიღი, დრო, საგამოცდო კომისიის შემადგენლობა.

41.7. განმეორებითი განმსაზღვრელი შეფასების/საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგი პროფესიული სტუდენტისათვის ცნობილი გახდება არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღეში.

41.8. პროფესიული სტუდენტისათვის/მსმენელისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ეკისრება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის წარმომადგენელს (პროფესიული სტუდენტი ინფორმაციას მიიღებს სატელეფონო შეტყობინებით ან ელექტორნული ფოსტის საშუალებით).

41.9. ზოგადი ხასიათის წერილობითი საჩივარი, რომელშიც არგუმენტირებულად და მკაფიოდ არ იქნება განსაზღვრული თუ რას აპროტესტებს პროფესიული სტუდენტი არ განიხილება.

41.10. სააპელაციოსააპელაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

42. მუხლი - პროფესიული სტუდენტის განმსაზღვრელი შეფასების შესახებ დოკუმენტაციის წარმოება

42.1. პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება მტკიცებულებებით.

42.2. მტკიცებულება წარმოადგენს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალური ან ციფრული სახით დადასტურებას.

42.3. პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასება და მტკიცებულებათა შეგროვება მიმდინარეობს სასწავლო პროცესის განმავლობაში. შეკრებილ მტკიცებულებებს, რომელიც უნდა იძლეოდეს შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას, მოდულის დასრულების შემდეგ მოდულის განმახორციელებელი წარუდგენს სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტს. სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტი მტკიცებულებებს აღრიცხვის მიზნით გადასცემს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს,რომელიც აღრიცხავს ელექტრონულად და ინახავს შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით სპეციალურად მტკიცებულებებისთვის გამოყოფილ ადგილას.

42.4. მტკიცებულებები 3 წლის ვადის გასვლის შემდეგ, ერთი თვის ვადაში ნადგურდება ან მოთხოვნის შემთხვევაში გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს.

42.5. მტკიცებულებები დაცულია უწყისის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ - მუდმივად.

42.6. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შეფასების უწყისების აღრიცხვა ხდება პროფესიული პროგრამების მიხედვით ელექტრონული ფორმით და პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი.

42.7. უწყისის ფორმა მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: კოლეჯის ლოგო, კოლეჯის დასახელება, დოკუმენტის 1დასახელება და ნომერი, პროგრამის დასახელება, მოდულის დასახელება, სარეგისტრაციო ნომერი, ჯგუფის ნომერი, სასწავლო წელი, პროფესიული მასწავლებლის სახელი, გვარი, სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის გვარი, სახელი, დადასტურების სიმბოლო (დიახ), ვერ დადასტურების სიმბოლო (არა), უწყისის შევსების თარიღი, პროფესიული მასწავლებლის ხელმოწერა.

42.8. შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით <u>განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების</u> შემთხვევაში,ხოლო კვალიფიკაცია დირექტორის მიერ საკვალიფიკაციო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები.

42.9. მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის,რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

43. მუხლი - კვალიფიკაციის მინიჭება

43.1. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების საფუძველია პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტების სრულად ათვისება;
43.2. პროფესიული სტუდენტები, რომლებიც დაასრულებენ იმ საგანმანათლებლო პროგრამას,რომლის ფარგლებშიც კვალიფიკაციის მინიჭების საფუძველი არის საკვალიფიკაციო გამოცდა, მათ სავალდებულოდ უტარდებათ ასეთი გამოცდა.
43.3. სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისთთან ერთად შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ შეისწავლის თითოეული პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებულ შეფასებებს(უწყისებს)
44.4. შეჯამებულ ინფორმაციას და რეკომენდაციას შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ დირექტორს წარუდგენს სასაწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, რომელიც მოიცავს პროგრამების შესაბამისად იმ პროფესიული სტუდენტების სიას, რომლებმაც აითვისეს პროგრამით განსაზღვრული საჭირო კრედიტები;
44.5. მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, დირექტორი გამოსცემს ბრძანებას შესაბამისი პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ, ხოლო საკვალიფიკაციო გამოცდის შემთხვევაში დიირექტორის ბრძანების საფუძველია საკვალიფიკაციო კომისიის ოქმი.
44.6. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში მონაცემები შეიტანება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 17 თებერვალის განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ მოთხოვნების შესაბამისად;
44.7.დირექტორის მიერ გამოცემული აქტის საფუძველზე დაწესებულება ამზადებს და გასცემს შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელ დიპლომს დანართით, რომლის ნიმუშიც დამზადებულია მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პირობების და პროცედურების დაცვით და შეთანხმებულია შესაბამის ორგანოებთან.
44.8. დიპლომის აღრიცხვის წესი განსაზღვრულია დაწესებულების საქმისწარმოების ერთიან წესით.

44. მუხლი- საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი

<u>შენიშვნა:</u> საკვალიფიკაციო გამოცდის სავალდებულოობა (გარდა პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგარამა „საექთნო საქმისა“) გავრცელდეს 2024 წლის მიღების ფარგლებში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებზე.

44.1.წინამდებარე წესი აღწერს საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესს.

44.2.წესის მიზანია უზრუნველყოს ერთიანი პროცედურით საკვალიფიკაციო გამოცდის ორგანიზება და ჩატარება.

44.3. საკვალიფიკაციო გამოცდა სავალდებულოა ყველა პროფესიულ სტუდენტისთვის, რომელიც ამთავრებს იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელშიც განსაზღვრულია კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობად საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება;

44.4.საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების უფლების მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები და მონაწილეობა მიიღოს შუალედურ შეფასებაში.

44.5..საკვალიფიკაციო გამოცდა შედგება თეორიული და პრაქტიკული კომპონენტებისაგან;

44.6.თეორიული და პრაქტიკული გამოცდის ჩატარების ვადების განსაზღვრა ხდება წინასწარ განმახორციელებელ მხარეებთან შეთანხმდებით;

44.7. თეორიული გამოცდის ჩატარება ხდება პრაქტიკულ გამოცდამდე;

44.8.საკვალიფიკაციო გამოცდის თემატიკა არ უნდა გასცდეს პროფესიული პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

44.9.საკვალიფიკაციო გამოცდის შინაარსი წარმოადგენს პროგრამის ფარგლებში დადასტურებული რამდენიმე დარგობრივი უნარის დემონსტრირებას.

44.10.საკვალიფიკაციო გამოცდის საკითხები უნდა მოიცავდეს:

ა) დავალების/დავალებების აღწერას/პირობებს;

ბ) დავალების შესრულების დროს;

გ) შეფასების კრიტერიუმებს;

დ) ასევე, საკვალიფიკაციო გამოცდის დროს გამოსაყენებელი მასალის და ინვენტარის ნუსხას (ნუსხაში მითითებული მასალა და ინვენტარი უშუალოდ საკვალიფიკაციო გამოცდისას პროფესიული პროფესიულ სტუდენტისათვის ხელმისაწვდომი იქნება);

ე) კვალიფიკაცია მინიჭებულად ჩაითვლება, თუ პროფესიული პროფესიულ სტუდენტის საბოლოო შეფასება თითოეულ კომპონენტში (თეორია და პრაქტიკა) არის დადებითი (ზღვარი დგინდება დირექტორის ბრძანებით).

44.11.საკვალიფიკაციო გამოცდის თარიღი და ფორმატი განისაზღვრება კონკრეტული ჯგუფისათვის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით პასუხისმგებელი პირის წარდგინებით არაუგვიანეს საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებამდე ერთი თვით ადრე;

44.12. გარე მობილობის შემთხვევაში, სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს ოფიციალური დოკუმენტი შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის ფაქტის შესახებ.

44.13.სტუდენტის ინფორმირება საკვალიფიკაციო გამოცდის თარიღისა და ფორმატის შესახებ ხორციელდება ამ (მეილი, ან შეხვედრა და სხვა) ფორმით დირექტორის მიერ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა;

44.14.პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, საკვალიფიკაციო გამოცდის მიზნებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას:

ა) თეორიული გამოცდა;

ბ) პრაქტიკული უნარების დემონსტრირება;

გ) პროექტის პრეზენტაცია;

დ) სიტუაციის განხილვა და ანალიზი;

ე) სხვა რელევანტური მეთოდები ან მათი კომბინაცია.

44.15.საკვალიფიკაციო გამოცდის მიზნით გამოყენებული ინსტრუმენტი ექვემდებარება ვალიდაციას საკვალიფიკაციო კომისიის ჩართულობით;

44.16.საკვალიფიციო გამოცდის კომპონენტები შესაძლოა შეირჩეს კომპლექსურად;

44.17.**თეორიული გამოცდა:**

44.17.თეორიული გამოცდა ტარდება კოლეჯში, ან გამოცდისთვის წინასწარ განსაზღვრულ სხვა ადგილას;

44.18.თეორიული გამოცდის კომპონენტი/შედეგი დადასტურებულად ჩაითვლება, თუ პროფესიულმა სტუდენტმა გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (ზღვარი დგინდება დირექტორის ბრძანებით);

44.19.თეორიული შეფასების საკითხების შემუშავება ხდება წინასწარ შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების ჯგუფის მიერ. საჭიროების შემთხვევაში თანაგანმახორციელებელ საწარმოსთან /ობიექტთან თანამშრომლობით; ჯგუფში უმეტესობას უნდა წარმოადგენდეს დარგის წარმომადგენლები.

44.20.თეორიული კომპონენტის წერისთვის განკუთვნილი ხანგრძლივობა 120-180 წუთია(განისაზღვრება კომპონენტთა სიმრავლის შესაბამისად). შესაძლებელია თეორიული კომპონენტის დადასტურებისას მაქსიმუმ ერთი შუალედური შესვენება 15 წუთი. გამოცდის ხანგრძლივობისა და შესვენების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია პროფესიულ პროფესიულ სტუდენტებს მიეწოდებათ უშუალოდ გამოცდის

დაწყების წინ. დროის ამოწურვის შემდეგ პროფესიულ სტუდენტმა უნდა ჩააბაროს ნაწერი, მიუხედავად იმისა მოასწრო თუ არა მან ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა;

44.21.საგამოცდო კომისია თითოეული კომპონენტისთვის განისაზღვრება მინიმუმ სამი წევრით: დაწესებულების ადმინისტრაციული პერსონლის წარმომადგენელი, შესაბამისი დარგის წარმომადგენელი (პროგრამის ხელმძღვანელი ან დარგის მასწავლებელი) და პარტნიორი საწარმოს წარმომადგენელი, კომისიაში შეიძლება შევიდეს მოწვეული სპეციალისტიც.

44.22.საგამოცდო კომისიის წევრები ამოწმებენ პროფესიული სტუდენტის ნაშრომს და აჯამებენ შეფასებას.

44.23.თეორიული გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ვერ გადალახვის შემთხვევაში, თეორიული გამოცდა ჩაითვლება ჩაუბარებლად და კანდიდატი არ დაიშვება პრაქტიკულ გამოცდაზე;

44.24.თეორიულ გამოცდას დაკვირვების მიზნით შეიძლება ესწრებოდეს ერთი ან ორი დამკვირვებელი, რომელსაც ბრძანებით განსაზღრავს დირექტორი;

44.25.**პრაქტიკული გამოცდა:**

44.26.პრაქტიკული კომპონენტის გამოცდის ჩატარება ხდება ხდება საწარმოში/პრაქტიკის ობიექტზე;

44.27.პრაქტიკული გამოცდის საკითხებს შეიმუშავებენ დარგის წარმომადგენლები და პრაქტიკის ინსტრუქტორები;

44.28. პრაქტიკის საგამოცდო საკითხების შემუშავება ხდება გავლილი პროფესიული მოდულების სწავლის შედეგების მიხედვით;

44.29.თითოეული კომპონენტის საკითხების ზუსტი რაოდენობა განისაზღვრება საკითხის სირთულიდან გამომდინარე;

44.30.ხანგრძლივობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების სპეციფიკიდან გამომდინარე. დროის ხანგრძივობას განსაზღვრავს კონკრეტული დარგის სპეციალისტი და მოცემულობა წინასწარ ეცნობება პროფესიულ სტუდენტს. პროფესიული სტუდნტისათვის ასევე წინასწარ იქნება ცნობილი შედეგის დადასტურებისათვის საჭირო იმ მასალა-ნედლეულისა და ინვენტარის ჩამონათვალი, რომლითაც უშუალოდ დავალების შესრულებისას უზრუნველყოფილი იქნება პროფესიული პროფესიულ სტუდენტი.

44.31.საგამოცდო კომისია თითოეული კომპონენტისთვის განისაზღვრება მინიმუმ სამი წევრით: ადმინისტრაციის წარმომადგენელი/დარგის სპეციალისტი(პროგრამის ხელმძღვანელი ან მასწავლებელი) და პარტნიორი საწარმოს წარმომადგენელი, შეიძლება კომისიის შემადგენლობაში შევიდეს მოწვეული პირიც.

44.32.საგამოცდო კომისიის წევრები დამოუკიდებლად აფასებენ კომპონენტებს და ავსებენ სპეციალურ ჩეკლისტებს.

44.33.პროფესიულ სტუდენტმა უნდა მოაგროვოს ჩეკ-ლისტში განსაზღვრული დავალებების ფარგლებში დაწესებულების მიერ დადგენილი კრიტერიუმებით დადებითი შეფასება (ზღვარი დგინდება შეფასების ინსტრუმენტით).

44.34.კომისიის წევრების ჩეკ-ლისტების შედეგებიდან გამოითვლება საშულო არითმეტიკული პროცენტი;

44.35.გამოცდას დაკვირვების მიზნით ესწრება ერთი ან ორი დამკვირვებელი, რომელსაც ბრძანებით განსაზღრავს დირექტორი;

44.36 დაუშვებელია გამოცდის გაცდენა საპატიო მიზეზის გარეშე. იმ შემთხვევაში, თუ გამოცდის გაცდენა არასაპატიო მიზეზით მოხდა, პროფესიულ სტუდენტს გაუფორმდება გამოცდაში 0 ქულა.

44.37. პროფესიულ სტუდენტი ვალდებულია გამოცდის გაცდენის შემთხვევაში განცხადებით მიმართოს დირექტორს და წარადგინოს დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს გამოცდაზე არგამოცხადების

საპატიო მიზეზს, გამოცდიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში, რათა მოხდეს განხილვა გაცდენის საპატიოდ ჩათვლის შესახებ.

44.38.წარმოდგენილ დოკუმენტაციას განიხილავს დირექტორი და ადგენს პროფეიული სტუდენტის განმეორებით გამოცდაზე გასვლის უფლებას;

44.39.საკვალიფიკაციო გამოცდაზე არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს გადაეცემა ცნობა /სერთიფიკატ(ებ)ი გავლილი/დადასტურებული მოდულების შესახებ;

44.37.არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს აქვს უფლება ორჯერ გავიდეს განმეორებით გამოცდაზე, რისთვისაც განცხადებით მიმართავს დირექტორს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ქმნის დამატებით კომისიას, რომელიც ადგენს განმეორებითი გამოცდის პირობებს(დროს, ხარჯთაღრიცხვას, კომისიის წევრების რაოდენობას და სხვა);

44.38.განმეორებითი გამოცდისას გამოცდის ხარჯებს ანაზღაურებს ის პროფესიული პროფესიულ სტუდენტი, ვისთვისაც ტარდება კონკრეტული გამოცდა;

45. **საკვალიფიკაციო კომისია**

45.1. საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობა, კომისიის თავმჯდომარე და მდივანი განისაზღვრება

დირექტორის ბრძანებით;

45.2.კომისია უნდა შედგებოდეს სულ მცირე სამი წევრისაგან, მასში უმეტესობას უნდა ქმნიდეს ის პირები,ვინც არ ღებულობდა მონაწილეობას შესაფასებელი სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში;

45.3.კომისიის წევრი უნდა იყოს დარგის წარმომადგენელი;

45.4.კომისიაში სავალდებულო წესით უნდა მონაწილეობდეს დარგის შესაბამისი სფეროს წარმომადგენელი,რომელიც არ არის კოლეჯის წარმომადგენელი;

45.5. საკვალიფიკაციო კომისია იხილავს იმ სტუდენტებისათვის კვალიფიკაციის მინიჭების საკითხს,

რომელთაც სრულად აითვისეს ან აღიარებულ ექნათ შესაბამისი საფეხურის/დონის პროგრამით

გათვალისწინებული კრედიტები;

45.6.კომისიის კომპეტენციაა საკვალიფიკაციო გამოცდის დადებითი შედეგების საფუძველზე შუამდგომლობით მიმართოს დირექტორს სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე;

45.7.კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა;

45.8.კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა უმრავლესობით;

45.9.კომისიის თავმჯდომარის ან მდივნის არყოფნის შემთხვევაში, დანარჩენი წევრები ირჩევენ სხდომის თავმჯდომარეს და მდივანს;

4510.ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა;

45.11. საკვალიფიკაციო კომისიის საოქმო გადაწყვეტილების საფუძველზე კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას პროფესიული სტუდენტ(ებ)ისათვის კვალიფიკაციის მინიჭების ან კვალიფიკაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.

45.12.კომისიის წევრი უფლებამოსილია საკუთარი განსხვავებული პოზიცია, ასეთის არსებობის შემთხვევაში, წერილობით დაურთოს ოქმს;

45.13.კომისიის მუშაობის ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს კოლეჯის მიერ განსაზღვრული პირი/სამსახური;

45.14. საკვალიფიკაციო კომისია იხილავს კონკრეტული პროფესიული სტუდენტის პირად საქმეს, მიღებულ შეფასებებს, პორტფოლიოს, საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგებს და იღებს გადაწყვეტილებას:

ა) პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების შესაძლებლობის შესახებ;

ბ) პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.

45.15. პროფესიული სტუდენტის საკვალიფიკაციო გამოცდის ორგანიზების საკითხები რეგულირდება კოლეჯის დირექტორის შიდა მარეგულირებელი აქტით.

45.16. საკვალიფიკაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება საკვალიფიკაციო კომისიის საოქმო გადაწყვეტილების სახით, რომელსაც სავალდებულოდ ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

45.17.. სტუდენტის მიერ საკვალიფიკაციო გამოცდის დროს შექმნილი მტკიცებულება ინახება კოლეჯში სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებიდან სამი წლის განმავლობაში.

46. გამოცდის შედეგების გასაჩივრება:

46.1.საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგები უნდა ეცნობოს პროფესიულ სტუდენტს, გამოცდის ჩატარებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის განმავლობაში წერილობით ფორმით;

46.2.პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგები მისი გაცნობიდან 5 სამუშაო დღის ვადაში გაასაჩივროს წერილობითი განცხადებით კოლეჯში;

46.3.საჩივრის განხილვის მიზნით კოლეჯი ქმნის სააპელაციო კომისიას (მინიმუმ 3 წევრისგან), რომლის შემადგენლობაში შეიძლება შევიდეს კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელი და დარგის სპეციალისტები, საწარმოს წარმომადგენელი;

46.4.კოლეჯი ვალდებულია 10 სამუშაო დღის ვადაში განიხილოს საჩივარი და მიღებული დასაბუთებული გადაწყვეტილების თაობაზე აცნობოს საჩივრის ავტორს;

46.5.სააპელაციო კომისია უფლებამოსილია განიხილოს სტუდენტის საჩივარი და მიიღოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება:

ა) საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ;

ბ) საკითხის საკვალიფიკაციო კომისიისათვის განსახილველად დაბრუნების შესახებ;

46.6.კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.6

46.7.საკვალიფიკაციო გამოცდაზე გამოუცხადებლობა ან საკვალიფიკაციო კომისიის უარყოფითი გადაწყვეტილება წარმოადგენს სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერების საფუძველს და აქვს უფლება გავიდეს შემდეგ საკვალიფიკაციო გამოცდაზე.

46.8.**საგამოცდო პროცესის დამკვირვებელი ვალდებულია:**

ა) გამოცდის ჩატარების ადგილას გამოცხადდეს გამოცდის დაწყებამდე არანაკლებ 15 წუთით ადრე და აცნობოს ადგილზე კოლეჯის ადმინისტრაციას;

ბ) გამოცდის დაწყებამდე პროფესიულ სტუდენტს გააცნოს წესები, რომლებიც უნდა დაიცვან გამოცდის მიმდინარეობის პროცესში;

გ) პროფესიულ სტუდენტთა თვალწინ გახსნას დალუქული კონვერტი და დაარიგოს საგამოცდო საკითხები. ამის შემდეგ იწყება საგამოცდო დროის ათვლა;

დ) რეგისტრაციაში გაატაროს პროფესიულ სტუდენტები და ხელმოწერით ან მონიშვნით დააფიქსირებინოს გამოცდაზე გამოცხადება;

ე) დააკვირდეს გამოცდის მიმდინარეობას მისთვის განსაზღვრულ სექტორში. მკაცრად აკონტროლოს პროფესიულ სტუდენტების მიერ უფლება-მოვალეობების დაცვა. მათი დარღვევის შემთხვევაში იმოქმედოს წინამდებარე წესის შესაბამისად;

ვ) პროფესიულ სტუდენტის გამოცდიდან მოხსნის შემთხვევაში საგამოცდო ფურცელზე/ჩეკ-ლისტზე გააკეთოს წარწერა – ,,მოხსნილია გამოცდიდან" მიზეზის მითითებით, დააფიქსიროს პროფესიულ სტუდენტის გამოცდიდან მოხსნა საგამოცდო ნაშრომის/ჩეკ-ლისტის მიღება-ჩაბარების უწყისშიც, მოაწეროს ხელი და გადასცეს კოლეჯის ადმინისტრაციას;

ზ) გასცეს პასუხი პროფესიულ სტუდენტის მიერ დასმულ პროცედურულ და ტექნიკურ შეკითხვებს. მას საგამოცდო საკითხებთან დაკავშირებულ შინაარსობრივი ხასიათის შეკითხვებზე პასუხის გაცემა ეკრძალება;

თ) საგამოცდო დროის ამოწურვამდე 15 წუთით ადრე გააფრთხილოს პროფესიულ სტუდენტები საგამოცდო დროის ამოწურვის შესახებ;

ი) თეორიული გამოცდის დასრულების შემდეგ პროფესიულ სტუდენტს ჩამოართვას ნამუშევრები და გადასცეს ისინი შესამოწმებლად კომისიის წევრებს;

კ) უზრუნველყოს ნამუშევრების კონფიდენციალობის დაცვა;

ლ) დამკვირვებელს ეკრძალება მისთვის განსაზღვრული სექტორის დატოვება, გამოცდის დასრულებამდე.

46.9. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:

ა) ცხრილში მითითებული განრიგის მიხედვით, გამოცხადდეს გამოცდის ჩატარების ადგილზე საგამოცდო დროის დაწყებამდე 15 წუთით ადრე;

ბ) დაგვიანების ან სხვა დროს გამოცხადების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტი გამოცდაზე არ დაიშვება;

გ) იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა წინააღმდეგ შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი გამოცდაზე არ დაიშვება;

დ) მაგიდაზე არ უნდა იდოს არც ერთი ნივთი გარდა საწერი კალმის, სასმელი წყლისა და ჯანმრთელობისათვის აუცილებელი ნივთებისა (საჭიროების შემთხვევაში);

ვ) შეამოწმოს თეორიული საგამოცდო ფურცლის ხარვეზიანობა, დაზიანების არსებობის შემთხვევაში მიმართოს დამკვირვებელს. საგამოცდო დროის ათვლის დაწყების შემდეგ ასეთი პრეტენზია აღარ მიიღება;

ზ) არ დაიწყოს საგამოცდო ნაშრომზე მუშაობა, ვიდრე არ დაიწყება საგამოცდო დროის ათვლა.

თ) გამოცდის მიმდინარეობისას დაიცვას ეთიკის კოდექსითა და ამ წესით გათვალისწინებული ნორმები;

ი) საჭიროების შემთხვევაში ხელის აწევით მიმართოს დამკვირვებელს შეკითხვით, ისე რომ ხელი არ შეუშალოს სხვა პროფესიულ სტუდენტებს;

კ) დაემორჩილოს საგამოცდო პროცესის დამკვირვებლის მითითებებს და გადაწყვეტილებას, თუნდაც მისი გამოცდიდან მოხსნის შესახებ;

ლ) საგამოცდო დროის ამოწურვის თანავე დროულად ჩააბაროს ნამუშევარი;

46.10.პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს გამოცდისთვის სათანადო პირობები (სამუშო სივრცე, განათება);

ბ) საგამოცდო ოთახში შეიტანოს სასმელი წყალი;

გ) გამოცდის შედეგების გამოქვეყნებიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში გაასაჩივროს მიღებული შეფასება.

46.11. გამოცდების ჩატარების პროცედურები:

ა) საგამოცდო რეგისტრაცია იწყება გამოცდის დაწყებამდე 15 წუთით ადრე. რეგისტრაციის დრო არ შედის საგამოცდო დროში;

ბ) რეგისტრაციის გავლის შემდეგ პროფესიულ სტუდენტებს ურიგდებათ საგამოცდო საკითხები/ტესტები;

გ) დამკვირვებელი პროფესიულ სტუდენტებს აცნობს გამოცდაზე ქცევის წესებს;

დ) დაგვიანებული პროფესიულ სტუდენტი გამოცდაზე არ დაიშვება.

46,12,გამოცდაზე ქცევის წესები:

გამოცდაზე დაუშვებელია:

ა) საგამოცდო ნაწერი უნდა შესრულდეს დამკვირვებლის მიერ დარიგებულ საგამოცდო ფურცლებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ნაშრომი არ გასწორდება;

ბ) საგამოცდო დროის ათვლის დაწყების შემდეგ აკრძალულია საგამოცდო სივრცის დატოვება წერის შესვენებამდე /სრულად დამთავრებამდე;

გ) გამოცდის პროცესის დროს საუბარი, ხმაური, ჟესტიკულაციის გამოყენება ერთმანეთთან, აღნიშნულ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი მიიღებს გაფრთხილებას,მსგავსი ან ნებისმიერი სხვა დარღვევის განმეორების შემთხვევაში მოიხსნება გამოცდიდან;

დ) მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტრონული ხელსაწყოს, ასევე საგამოცდო საგნით განსაზღვრული თემატიკის მატარებელი ინფორმაციის შემცველი ნივთის გამოცდაზე შეტანა.

ე) სხვა პროფესიულ სტუდენტისათვის ხელის შეშლა ნებისმიერი ფორმით;

ვ) სხვა პირებთან კონსულტირება ან ურთიერთობა აუდიტორიის გარეთ გამოცდის პერიოდში;

ზ) სხვა პროფესიულ სტუდენტის ტესტში ან ნაშრომში ჩახედვა ან მისი გადაწერა;

თ) სხვა პირის დახმარება, სხვისაგან დახმარების მიღება ნებისმიერი ფორმით;

ი) საგამოცდო დროის ამოწურვის შემდეგ, საგამოცდო მასალებზე რაიმე ჩანაწერების გაკეთება ან მუშაობის გაგრძელება;
კ) საგამოცდო მასალების გადაწერა, გადაღება მისი გარეთ გატანა ან გატანის მცდელობა ნებისმიერი ფორმით;
ლ) დაუშვებელია მობილური ტელეფონების გამოყენება კალკულატორად;
მ) საგამოცდო ნაშრომის ჩაბარებამდე საგამოცდო ოთახის დატოვება დაუშვებელია ნებისმიერი მიზეზით, გარდა ჯანმრთელობის მდგომარეობით განპირობებულისა.
ნ) გამოცდის მიმდინარეობის დროს ნებისმიერი ელექტრონული საშუალება (მობილური ტელეფონი, ფოტო და ვიდეო კამერები და სხვა) უნდა გამოირთოს და მოთავსდეს მისთვის გამოყოფილ ადგილას;
ო) საგამოცდო პერიოდის განმავლობაში ამ და სხვა გარემოებების დროს პროფესიული სტუდენტი მოიხსნება გამოცდიდან.

46.13.პროფესიულ სტუდენტის გამოცდიდან მოხსნის საფუძვლები :

პროფესიულ სტუდენტი გაფრთხილების გარეშე იხსნება გამოცდიდან:
ა) ლექსიკონის, ე. წ. „შპარგალკის“, მობილური ტელეფონის, აიპადის, კალკულატორის და დამხმარე მასალის, (გარდა ნებადართული შემთხვევისა) ან სხვა ელექტრონული ხელსაწყოს აღმოჩენისას, თუნდაც გამორთულ მდგომარეობაში);
ბ) წესრიგის დარღვევის ან საგამოცდო პროცესში მონაწილე პირის შეურცხყოფის ან სხვა მსგავს შემთხვევაში;
გ) ალკოჰოლის, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნის შემთხვევაში;
დ) სხვა პირის ნაცვლად გამოცდის ჩაბარების მცდელობის შემთხვევაში.

46.14.ნებისმიერი სხვა წესის დარღვევისას პროფესიულ სტუდენტი იღებს გაფრთხილებას. მეორე გაფრთხილების მიღების შემთხვევაში დამკვირვებელი ვალდებულია გამოცდიდან მოხსნას.

46.15.ნაშრომი არ გასწორდება:
ა) იმ პროფესიულ სტუდენტის ნაშრომი, რომელიც საგამოცდო დროის ამოწურვისთანავე არ შეწყვეტს მუშაობას;
ბ) ნაშრომში დააწერს სახელს, გვარს (გარდა სპეციალურად გამოყოფილი ფურცლისა) ან გააკეთებს პიროვნების იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემცველ რაიმე ინფორმაციას, ან რაიმე სახის ისეთ გრაფიკულ გამოსახულებას, რომელიც დაკავშირებული არ არის საგამოცდო დავალებასთან;
გ) პროფესიულ სტუდენტის გამოცდიდან მოხსნის შემთხვევაში.

47. მუხლი - პროფესიული დიპლომის გაცემის პირობები

47.1.პროფესიული სტუდენტ(ებ)ისათვის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, კოლეჯი ამზადებს და გასცემს შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელ დიპლომს, რომლის ნიმუშიც მზადდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პირობებისა და კოლეჯის მიერ დადგენილი პროცედურების დაცვით;

47.2.დიპლომთან ერთად გაიცემა დიპლომის დანართი;

47.3.დიპლომის დანართის შევსებას ახორციელებს კოლეჯის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი წინამდებარე წესით დადგენილი პროცედურების დაცვით.

48. მუხლი - სერტიფიკატები

48.1.კოლეჯის სასერტიფიკატო პროგრამების კურსდამთავრებულთათვის გაიცემა შესაბამისი კურსის/პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი;

48.2.სერტიფიკატის ფორმას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.

49. მუხლი - ცნობა/სერტიფიკატი გავლილი მოდულის/სწავლის შედეგების შესახებ

a. პირი, რომელიც სრულად ვერ აითვისებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტს და წყვეტს სწავლას, უფლებამოსილია მოითხოვოს ცნობა გავლილი მოდულების ან დადასტურებული სწავლის შედეგების შესახებ;

b. მოდულის ყველა სწავლის შედეგის დადასტურების შემთხვევაში, კოლეჯი გასცემს სერტიფიკატს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

c. სსსმ პირებისთვის შესაძლებელია განხორციელდეს მოდულების აკომოდაცია ან ადაპტაცია;

d. მოდულის ადაპტაციის დროს იცვლება სწავლის შედეგები შინაარსობრივად ან რაოდენობრივად, რაც გამორიცხავს ტიპური კვალიფიკაციის მინიჭებას. ასეთ შემთხვევაში, როცა სწავლის შედეგები უცვლელად იქნა შენარჩუნებული და მიღწეული, კოლეჯი გასცემს სერტიფიკატს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

e. მოდულის/სწავლის შედეგების აკომოდაციის დროს, სადაც სწავლის შედეგები ან კრიტერიუმები შეიცვალა, მხოლოდ ცნობის გაცემაა შესაძლებელი;

f. ამ მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებში, კოლეჯი უზრუნველყოფს აღნიშნული საჭიროების მქონე პირთა ინფორმირებას სწავლების პროცესის მოსალოდნელი შედეგების თაობაზე.

50. მუხლი - მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის დამზადების, აღრიცხვის, შენახვისა და გაცემის პროცედურა

a. კოლეჯის კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტების დიპლომების ან სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატების მოხმარებას, ფორმის გამოყენებასა და აღრიცხვა-ანგარიშგებას ახორციელებს „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონისა და წინამდებარე წესის საფუძველზე;

b. კოლეჯი ვალდებულია მისი კურსდამთავრებულები უზრუნველყოს კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტით.

51. მუხლი - დიპლომებით/სახელმწიფოს მიერ აღირებული სერტიფიკატებით მომარაგება

a. დიპლომების/სერტიფიკატების ფორმებით მომარაგებას კოლეჯი ახორციელებს დამოუკიდებლად;

b. დიპლომების/სერტიფიკატების ფორმების შეკვეთას კოლეჯი აწარმოებს „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 და მე-9 მუხლის თანახმად, შესაბამის პოლიგრაფიულ საწარმოში, ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე.

52. მუხლი - დიპლომების/სახელმწიფოს მიერ აღირებული სერტიფიკატების შენახვა.

a. დიპლომების/სერტიფიკატების ფორმების შენახვა ხორციელდება „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;

b. დიპლომების/სერტიფიკატების ფორმები უნდა ინახებოდეს ცეცხლგამძლე სეიფში;

c. სათავსო, სადაც ინახება დიპლომების/სერტიფიკატების ფორმები უნდა იყოს ხელშეუხებელი გარეშე პირთათვის და სათანადოდ დაცული დაზიანებისაგან;

d. დიპლომები/სერტიფიკატები ინახება დიპლომების/სერტიფიკატების გამოყენებასა და აღრიცხვა-ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთან, კოლეჯის დირექტორთან.

53. მუხლი - გამოსაყენებლად უვარგისი დიპლომების/სერტიფიკატების ჩამოწერა

a. გამოსაყენებლად უვარგისი დიპლომების/სერტიფიკატების ჩამოწერა შეიძლება:

ა. შევსების დროს დაშვებული შეცდომის გამო;

ბ. ფორმის ფიზიკური დაზიანების გამო;

გ. დიპლომების/სერტიფიკატების ფორმის რეგისტრაციის გაუქმების გამო.

b. დიპლომების/სერტიფიკატების ჩამოწერას ახორციელებს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით შექმნილი საექსპერტო კომისია;

c. გამოსაყენებლად უვარგისი დიპლომების/სერტიფიკატების ჩამოწერა უნდა მოხდეს საექსპერტო კომისიის სხდომის სათანადოდ შედგენილი ოქმისა და ჩამოწერის აქტის მიხედვით;

d. გამოსაყენებლად უვარგისი დიპლომების/სერტიფიკატების უტილიზაცია ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად.

54. მუხლი - დიპლომების/სერტიფიკატების ფორმების შევსება და გაცემა

a. შევსებული დიპლომების/სერტიფიკატების რეგისტრაცია მიმდინარეობს დიპლომების/სერტიფიკატების რეგისტრაციის ჟურნალში.

b. შევსებული დიპლომების/სერტიფიკატების ქსეროასლი, დამოწმებული პასუხისმგებელი პირის მიერ, ინახება კოლეჯის კურსდამთავრებულის პირად საქმეში.

c. დიპლომების/სერტიფიკატების გაცემა მფლობელზე წარმოებს პიროვნების პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარდგენის საფუძველზე, რასაც ადასტურებს დიპლომის რეგისტრაციის ჟურნალში ხელმოწერით.

d. გაცემული დიპლომის/სერტიფიკატის დაკარგვის შემთხვევაში, კოლეჯს უფლება აქვს გასცეს დიპლომის/სერტიფიკატის დიპლომის/სერტიფიკატის დუბლიკატი მფლობელის მიერ საჭირო დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ.

e. დაკარგული დიპლომის/სერტიფიკატის მფლობელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

ა. განცხადება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლში მითითებული მოთხოვნების შესაბამისად;

ბ. ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან დიპლომის დაკარგვის შესახებ;

გ. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი.

f. შევსებული დუბლიკატის რეგისტრაცია მიმდინარეობს დიპლომის/სერტიფიკატის დუბლიკატის რეგისტრაციის ჟურნალში.

55. მუხლი - დიპლომის /სერტიფიკატის დანართი

a. დიპლომის/სერტიფიკატის დანართის შევსებას ახორციელებს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი.

b. სერტიფიკატის დანართი მოწმდება კოლეჯის დირექტორის ხელმოწერით.

c. დიპლომის/სერტიფიკატის დანართი აღირიცხება სათანადო წესის გაფორმებულ დიპლომის/სერტიფიკატის აღრიცხვის ჟურნალში;

d. პირი, რომელიც სრულად ვერ აითვისებს საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტს და წყვეტს სწავლას, უფლებამოსილია მოითხოვოს ცნობა გავლილი მოდულების ან დადასტურებული სწავლის შედეგების შესახებ.

თავი 7. დასკვნითი დებულებები

56. მუხლი - დოკუმენტის დამტკიცების, ცვლილებების შეტანის წესი და პროცედურა

a. წინამდებარე დოკუმენტი მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით - ბრძანებით;

b. დოკუმენტის აქტუალიზება (გადახედვა) წარმოებს არანაკლებ 12 თვეში ერთხელ;

c. დოკუმენტის აქტუალიზებაზე (გადახედვა) პასუხისმგებელია წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული პროცესისა ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერთან კოორდინაციით;

d. დოკუმენტში ცვლილება ხორციელდება იმ ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებიდან გამომდინარე, რომელთა საფუძველზეც შემუშავდა მოცემული წესი ან/და ცვლილების შეტანის აუცილებლობა განისაზღვრება კოლეჯის პერსონალის ან დირექტორის მიერ;

e. დოკუმენტში ცვლილებების შეტანის თაობაზე გამოიცემა კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ -ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი - ბრძანება.

57. მუხლი - დოკუმენტის გაცნობა პერსონალისათვის

a. წინამდებარე დოკუმენტში ცვლილებების განხორციელებების თაობაზე პერსონალის ინფორმირებას ახდენს კოლეჯის საქმისწარმოების და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი ასეთი ცვლილების განხორციელებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღის ბოლომდე.

დანართი №1

ვალიდირებულია

შპს კოლეჯი „ცხუმ-ეგრისი“

განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება

მოდულის სახელწოდება

მოდულის რეგისტრაციის ნომერი

პროფესიული მასწავლებლის სახელი, გვარი

პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი

ჯგუფის N _____

განმსაზღვრელი შეფასების ჩატარების თარიღი ----------

შესაფასებელი სწავლის შედეგი/ები	
შესრულების კრიტერიუმი/ები	
შეფასების მიმართულება	
შეფასების ინსტრუმენტი	
შესასრულებელი დავალების შინაარსი/შესრულების ინსტრუქცია	
დავალების შესასრულებლად განსაზღვრული დრო	
შეფასებისათვის საჭირო გარემო	
ხარვეზების დასაშვები ნორმა/მინიმალური ხარისხი შესრულებული სამუშაოს დადებითად შესაფასებლად	
ინფორმაცია განმეორებითი შეფასების შესახებ	
სწავლის შედეგის მიღწევის დასადასტურებლად განსაზღვრული მტკიცებულება	
შეფასების პროცესის დამატებითი პირობები (საჭიროების შემთხვევაში)	

საბოლოო შედეგი

შედეგი, კრიტერიუმები	დაადასტურა	ვერ დაადასტურა
შედეგი (_____ კრიტერიუმები)		
პროფესიული მასწავლებლის ხელმოწერა		
პროფესიული სტუდენტის ხელმოწერა		

დანართი №2

განმსაზღვრელი შეფასების უწყისი N

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა -

მოდული:

სარეგისტრაციო ნომერი:

ჯგუფის №

სასწავლო წელი -

პროფესიული მასწავლებლის სახელი, გვარი -

N	პროფესიული სტუდენტის გვარი, სახელი	შედეგები				
1						
2						
3						
4						
5						

დაადასტურა (დიახ); ვერ დაადასტურა (არა)

განმსაზღვრელი შეფასების უწყისის შევსების თარიღი -

პროფესიული მასწავლებლის ხელმოწერა ---------- /----------/

დანართი №3

აპელაციის განაცხადი

კოლეჯი ცხუმ-ეგრისის დირექტორს დირექტორს ბატონ გელა მამფორიას ამავე კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის

პროფესიული სტუდენტის: ----------

ტელ.: ----------

ელ. ფოსტის მისამართი: ----------

განცხადება

გთხოვთ მომცეთ ---------- მოდულის

---------- შედეგის/შედეგების განმსაზღვრელი შეფასების აპელაციის უფლება

აპელაციის მიზეზები/დასაბუთება/(მტკიცებულება)

თარიღი ---------- პროფესიული სტუდენტის ხელმოწერა ----------